გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N11 (9227) | 21 აპრილი. 2017 წელი | ფასი 50 თეთრი

„დავასუფთავოთ საქართველო" - აქციას სამტრედიაც შეუერთდა

3

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II 2017 წლის სააღდგომო ეპისტოლე

4

2 კომისიამ კონკურსის წესით საჯარო მოხელეები შეარჩია

ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად...

2

6 ჩვენი ენა ჩვენვე გავაუცხოვეთ

რას ფიქრობს ხალხი, ამომრჩეველი?

იქნები თუ ხელმძღვანელი არჩევნებიდან

5

3 არ ვაჭარბებთ...

„მე კი ვფარავ..."

6

კომისიამ კონკურსის წესით საჯარო მოხელეები შეარჩია

ნინო ნანიტაშვილი

საჯარო მოხელეთა შესარჩევი მორიგი კონკურსი დასრულებულია. 28 მარტს საკონკურსო-საატესტაციო კომისიას უკვე მზად ჰქონდა შედეგები. შეგახსენებთ, რომ 2016 წლის დეკემბერში სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში 15 ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებული იყო კონკურსი.

24 მარტს კომისიამ დაასრულა მუშაობა, რომელიც, დაახლოებით, 3 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდა, განაცხადების გადარჩევის შემდეგ აპლიკანტებმა მეორე ეტაპი, ანუ წერითი დავალება შეასრულეს.

"აღნიშნული პოზიციებიდან განსხვავებული სპეციფიკით ხასიათდებოდა ვაკანსია, რომელიც იყო ინფრასტრუქტურის სამსახურში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. აქ პირველი ეტაპი გაიარა მხოლოდ 2 კონკურსანტმა, რომელთაგან შეირჩა ერთი _ ოთარ თევზაძე და წარდგენილი იქნა კომისიის მიერ დასანიშნად".

ლაშა ორმოცაძე, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი: "წერითი დავალება 33-მა კონკურსანტმა გაიარა. 15 ვაკანტური პოზიციაზე 14 პიროვნება იქნა შერჩეული. ერთ ვაკანტურ პოზიციაზე, კოორდინაციის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე არც ერთი კანდიდატი არ იქნა წარდგენილი, რადგან ვერც ერთმა კონკურსანტმა ვერ გადალახა კომისიის მიერ დადგენილი კომპეტენციის ზღვარი. ამდენად, ეს პოზიცია ვაკანტურია".

ცნობისთვის, 15 პოზიციის დასაკავებლად 70 აპლიკანტი მონაწილეობდა, წერითი დავალება მათგან 33 კონკურსანტმა შეასრულა და შეირჩა 14 კონკურსანტი, რაც შეეხება მე-15 პოზიციას, ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების უფროსის თანამ-დებობა კონკურსის შედეგებით კვლავ ვაკანტურია.

შეხვედრა ლაშა თევზაძის ქუჩის მოსახლეობასთან

ნინო ნანიტაშვილი

19 აპრილს მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია მოადგილესთან, მამუკა თავაძესთან, ინფრასტრუქტურისა და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურების უფროსებთან, ზურაბ გოგიასთან და დავით ბაღდავაძესთან, ქალაქის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელთან, თენგიზ ცაგურიასთან ერთად ლაშა თევზაძის ქუჩაზე მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა.

მრავალსართულიანი კორპუსების 60, 61, 62, 63 და 64 ნომრებში მობინადრეებს რამდენიმე წელია, სერიოზული პრობლემები აწუხებთ.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ლაშა თევზაძის ქუჩაზე საღამოს საათებში იმ დროს გავიდნენ, როცა მოქალაქეები სამსახურებიდან დაბრუნებულები იყვნენ. ღია ცის ქვეშ გამართულ შეხვედრაზე მოსახლეობა ღიად საუბრობდა მათ ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო პრობლემებზე. კერძოდ, ლაშა თევზაძის ქუჩელები დიდი ხანია უჩივიან სასმელი წყლის უვარგისობას. მწყობრიდან გამოსულ საკანალიზაციო ქსელს, მოითხოვენ ეზოებში შესასვლელი გზის დაზიანებული მონაკვეთის კეთილმოწყობას.

მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებმა ყველა მობინადრეს გულდასმით მოუსმინეს და იმ პროექტების ირგვლივ განმარტებები მისცეს, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობა მიმდინარე წელს ქალაქის ტერიტორიაზე განახორციელებს. რაც შეეხება კონკრეტული ქუჩის მრავალსართულიანი კორპუსების მოსახლეობის პრობლემებს, მათ დაპირდნენ, რომ 2017 წლის ბიუჯეტში აღნიშნული სამუშაოები გათვალისწინებულია.

ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად...

ნინო ნანიტაშვილი

ასფალტ-ბეტონის გზის საფარის დაგება გრძელდება. რეგიონალური განვითარების ფონდის პროგრამით მიმდინარე წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტში, ქალაქის, დაბის და სოფლების ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის პროექტები განხორციელდა. აღნიშნულთან დაკავშირებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სამშენებლო სამუშაოებზე ტენდერი გამოაცხადა. ტენდერი გამოცხადებულია, აგრეთვე რეგიონალური განვითარების ფონდის პროგრამით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების გადახურვასთან დაკავშირებით. კერძოდ, სამშენებლო სამუშაოებზე ტენდერი გამოცხადებულია ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე 9 მრავალსართულიან ბინასა და დაბა კულაშში 1 მრავალსართულიან ბინაზე.

ზურაბ გოგია, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი განმარტავს, რომ: "გადახურვებზე მთლიანად 243 000 ლარია გამოყოფილი. აქედან 200 000 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტის წილია, ხოლო 43 000 ლარი _ რეგიონალური განვითარების. საამშენებლო სამუშაოების საერთო ღირებულების 5 პროცენტს ბინის ამხანაგობა იხდის, გარდა დაბა კულაშში არსებული მრავალსართულიანი ბინისა. ეს უკანასკნელი დაზიანებულია სტიქიის შედეგად. პროექტის შესყიდვას და სამშენებლო სამუშაოების შესრულებას 100 პროცენტით ახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი".

ადგილობრივი ბიუჯეტით ასევე გამოცხადებულია საპროექტო ტენდერი და უკვე გამოიკვეთა გამარჯვებული კომპანია, რომელიც აპროექტებს გზის ორმულ, სარკისებრ ასფალტ-ბეტონის სამუშაოებს. აგრეთვე _ სანიაღვრე არხებს. კერძოდ, რესპუბლიკის ქუჩაზე № 3 საჯარო სკოლის მიმდებარედ და ნინოშვილის ქუჩაზე, ასევე _ წერეთლის, თამარ მეფისა და შარტავას ქუჩებზე.

უახლოეს დღეებში სამშენებლო სამუშაოებზე ტენდერი გამოცხადდება რუსთაველის ქუჩაზე არსებული 10 მრავალსართულიანი კორპუსის ფასადების რეაბილიტაციისთვის. სავარაუდო თანხის რაოდენობა 405 000 ლარს შეადგენს. ტენდერი გამოცხადდება მრავალბინიანი კორპუსების ეზოების ასფალტ-ბეტონის საპროექტო სამუშაოებზეც თანხის საორიენტაციო ღირებულებით 147 000 ლარი, რომელთაგან 100 000 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტის წილია, ხოლო 47 000 ლარი _ რეგიონალური განვითარების ფონდის.

მე-3 საჯარო სკოლასთან შესყიდულია პროექტი მწოლარე ბარიერი თავისი საგზაო ნიშნებით, რომლის სამონტაჟო ღირებულება 8000 ლარია, სულ მალე მის მოწყობასთან დაკავშირებით ხელშეკრულება გაფორმდება.

ინფრასტრუქტურის სამსახურში მიღებული ინფორმაციით რესპუბლიკის ქუჩაზე, მე-3 საჯარო სკოლის მიმდებარედ, მარცხენა და მარჯვენა მხარეების ტროტუარების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვასთან დაკავშირებით ტენდერი გამოცხადდება.

"სახლი თანადგომა" საღამოს ტრადიციული ამანათებით

ნინო ნანიტაშვილი

130 მუდმივი ბენეფიციარი, 5 რეზერვი _ სააღდგომო საჩუქარი ყველა მათგანის სახელზეა გამოწერილი.

"სახლი თანადგომას" თანამშრომლებმა ტრადიციული ამანათი _ პასქა, შეღებილი კვერცხი, სანთელი და კანფეტი ამჯერადაც ისევ ისეთი მზრუნველობით შეფუთეს, როგორც სხვა წლებში.

ვიღაცას უხარია, ვიღაცას კი არაფრად მიაჩნია. "სახლი თანადგომას" დირექტორი, მზევინარ ბოხუა ამბობს, მას ბენეფიციართა 80 პროცენტი ადმინისტრაციულ შენობაში ყოველდღიურად აკითხავდა და სააღდგომო ნობათის შესახებ ინტერესდებოდა:

"ბენეფიციარების პირობების გასაუმჯობესებლად "სახლი თანადგომას" სხვადასხვა პროგრამები გააჩნია, მათ შორის ტრადიციული სააღდგომო, რასაც აღდგომის დადგომამდე ბენეფიციარები ერთი თვით ადრე თვითონვე გვახსენებენ", ხომ მოგვცემთ სააღდგომო ამანათებსო. ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ ელოდებიან იმ უმცირეს საჩუქარსაც კი, რომლის ჩამონათვალში შედის: 3 ცალი პასქა, 3 ცალი კვერცხი, 300 გრამი კანფეტი, 3 ცალი სანთელი, რაც ჯამში ერთ ბენეფიციარზე 6 ლარსა და 70 თეთრს შეადგენს ყოველივე ადგილობრივ ბიუჯეტს 900 ლარი უჯდება. დარწმუნებული ვარ, ამანათი საკმარისი არ არის. კარგი იქნებოდა, მეტი თანხის გამოყოფის შესაძლებლობა იყოს, მაგრამ მეტს ჩვენი ბიუჯეტი არ ითვალისწინებს, თუმცა ბენეფიციარების უმრავლესობა კმაყოფილებას გამოთქვამს, სახლში ბევრი ჩვენგანი ამასაც ვერ ვახერხებთო.

ხმამაღალი ნათქვამი არ მინდა, რომ გამომივიდეს, მაგრამ მაინც ასეა, უფრო მეტად სისტემატიურად ჩვენთან მოსვლას ისეთი ბენეფიციარები ახერხებენ, ვისაც ოჯახში შვილები და შვილიშვილები ჰყავთ, გვთხოვენ საჭმელს, წამლის ფულს, ოჯახში გასათბობ საშუალებებს და სხვა. ამ დროს ვიცით მათი ოჯახური პირობები, რომ მათ ნამდვილად შეუძლიათ მოხუც მშობელს მიხედონ და მოუარონ. ვერ წარმომიდგენია, რატომ არ გააჩნიათ პასუხისმგებლობა მშობლების მიმართ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველა ჩვენ ბენეფიციარს მივულოცო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, ვუსურვო ჯანმრთელობა, წელთა სიმრავლე და რაც მთავარია, ჰქონდეთ რწმენა, რომ მათთვის ზრუნავს ჩვენი რაიონის ხელმძღვანელობა, რომ მათი პირობები გაუმჯობესდეს". ბენეფიციარებმა რომ უფრო კომფორტულად იგრძნონ თავი, სასადილო ოთახი მოვრთეთ ყვავილებით, გამოვცვალეთ ფარდები. ესთეტიკურად გამოიყურება, სასადილოს ყველა განყოფილება, სადაც ინახება პროდუქტები და მზადდება კერძები".

ქათმის ხარჩო, წიწიბურა, დესერტად კისელი უფასო სასადილოთი მოსარგებლეთ დღეს ადგილზე მიართვეს, ხოლო ხვალინდელი ნორმა სახლებში წაიღეს, რადგან სასადილო ამ შაბათს ისვენებს.

"სახლი თანადგომა" ყოველწლიურად სოციალურ პროგრამას ახორციელებს. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გარკვეული თანხა აქვთ ჩადებული, უფასო სასადილოთი მოსარგებლეებს ცოტათი განსხვავებული და ესთეტიურად სასიამოვნო გარემო რომ დაახვედრონ.

იურა ჩაჩუა, უფასო სასადილოს ბენეფიციარი: "მთელ საქართველოს მივულოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. რაც შეეხება ბენეფიციართა სასადილოს, ნამდვილად კეთდება ცივილიზებული, კეთილშობილური საქმე. მომავალში, ალბათ, მუნიციპალიტეტის გამგეობა მეტ მხარდაჭერას გამოხატავს ბენეფიციართა მიმართ, რის გამოც კიდევ უფრო კმაყოფილები იქნებიან უფასო სასადილოს მომსახურებით."

სააღდგომო სადილისა და საჩუქრის მისაღებად მისული ბენეფიციარების თვალს სასადილოს თანამშრომლების სპეციალური და მოხდენილი ჩაცმულობაც არ გამოპარვიათ. გემრიელი კერძისა და ხარისხიანი მომსახურებისთვის ყველა მათგანი გულწრფელ მადლობას იხდიდა.

ლეილა ჩომახიძე, უფასო სასადილოს ბენეფიციარი: "მომწონს ყველაფერი, მადლობელი ვარ ქალბატონი მზევინარ ბოხუასი და მისი თანამშრომლების. ყველანაირად მადლობელი ვართ: ირგვლივ სუფევს სისუფთავე, კერძები გემრიელია და მომსახურება საუკეთესო აქვთ."

"დავასუფთავოთ საქართველო" - აქციას სამტრედიაც შეუერთდა

ნათია ნაცვლიშვილი

დედამიწის საერთაშორისო დღე 22 აპრილს აღინიშნება და ამ დღეს მსოფლიო გარემოსდაცვითი ღონისძიებებით ეგებება. მსგავს ღონისძიებას ტრადიციისამებრ, სამტრედიაც შეუერთდა. "დავასუფთავოთ საქართველო" ასე ქვია დასუფთავების აქციას, რომელიც ქვეყნის მასშტაბით გაიმართა. ჩვენს მუნიციპალიტეტს ამ დღესთან დაკავშირებით საგანგებოდ ეწვია იმერეთის გუბერნატორი, გივი ჭიჭინაძე. აქცია ერთობ მასშტაბური იყო, რადგან ხელისუფლებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად მასში მონაწილეობა მიიღეს ეროვნული სატყეო სააგენტოსა და გარემოს დაცვის ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმაც. აქცია რამდენიმე ლაკაციაზე გაიმართა, მონაწილეთა ყველაზე დიდი რაოდენობა ფარნავაზის ქუჩაზე გამოცხადდა. აქციაზე იმყოფებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია, გამგებლის მოოადგილეები დავით ბახტაძე, მამუკა თავაძე და ლიზა კრავეიშვილი, ასევე გამგეობის სამსახურების უფროსები თავიანთი უწყების წარმომადგენლებთან ერთად. _ ვინაიდან ეს ქუჩა ყველაზე დაბინძურებულია, დასასუფთავებლად უპირველესად აქ მოვედით, ეს სარკინიგზო ზოლია და მატარებლიდან გადმოყრილი ნაგავი აქ გროვდება. ნაწილი მოქალაქეებისა ლაშა თევზაძის ქუჩაზე, პირველი საჯარო სკოლისა და მომავლის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებიან.._ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა, ბეჟან გეგეშიძემ, რომელიც აქციას ორგანიზატორობდა.

გივი ჭიჭინაძე: " ძალზე მნიშვნელოვანია მსგავსი აქციები, მთელს საქართველოში დედამიწის დღესთან დაკავშირებით, გარემოს დაცვის სამინისტროს ინიციატივით, იმართება კვირეული ამ გარემოსდაცვითი ღონისძიებებისა, მასში ჩართულია იმერეთის რეგიონი თორმეტივე მუნიციპალიტეტით, სამტრედიაში ვიმყოფებით, მზად ვართ ყოველთვის სამტრედიაში მოვიდეთ, გისურვებთ, რაც შეიძლება ნაკლები დასასუფთავებელი ადგილები იყოს აქ."

არ ვაჭარბებთ...

ლეჟან გაბეჩავა

ნამდვილად საქმიანი, გულახდილი საუბარი შედგა იანეთის საჯარო სკოლის სამასწავლებლოში 11 აპრილს.

მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია, იანეთში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ვაჟა კოხრეიძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი ალექსანდრე ოევზაძე სკოლას იმ საკითხთა ირგვლივ სასაუბროდ ეწვივნენ, ერთნაირად რომ აწუხებთ არა მარტო ამ სკოლის პედაგოგებს, მოსწავლეებს, არამედ სოფელს ზოგადად.

სამასწავლებლოში ისევ მამაპაპური ღუმელი იწონებდა თავს. ამდენად, ერთ-ერთ მთავარ საკითხად სკოლის გაზიფიცირება იქნა დასახელებული. ყურადღების მიღმა არც სკოლის სპორტული დარბაზისა და ლაბორატორიების თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვის საკითხი დარჩენილა შეხვედრაზე.

სკოლაში, რომელიც არცთუ შორეულ წარსულში ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი იყო, ამჯერად 164 მოსწავლე სწავლობს, მათ აღზრდას 32 პედაგოგი ემსახურება. პედაგოგთა უმეტესობა სოფლის მკვიდრია და ცხადია, ამდენად არავის გაჰკვირვებია, თანასოფლელთა სტკივარზეც გულწრფელად რომ ითქვა. სოციალური დახმარება რამდენიმე თანასოფლელს მხოლოდ იმიტომ მოუხსნეს, რომ ისინი მიწის გარკვეულ ფართობს ფლობენო, აღნიშნეს გულისტკივილით პედაგოგებმა. პასუხიც გულწრფელი და არგუმენტირებული იყო ხელისუფლების წარმომადგენელთაგან _ საკითხით დავინტერესდებითო.

"სკოლებში და არა მარტო სკოლებში სისტემატურად დავდივართ, თქვენ, პედაგოგებს სოფლის პულსი ხელთ გიპერიათ, კარგად იცით თანასოფლელთა ტკივილიცა და სიხარულიც. ისე როგორც ოჯახში, იმდენს ვკეთებთ, იმდენის გაკეთებას ვახერხებთ, რისი ფინანსური საშუალებაც გვაქვს. შიდა სასოფლო გზები რამდენადმე მოწესრიგდა მუნიციპალიტეტში, სასწავლო დაწესებულებებსაც ეტაპობრივად მივხედავთ, აი, ამიტომ მოვედით თქვენთან". _ მიმართა შეკრებილთ ვალერიანე ფოცხვერიამ და წარმატებები უსურვა პედაგოგებს კეთილშობილურ საქმიანობაში.

იგივე აზრი განავითარა თავის გამოსვლაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ ჯამბურიამაც და პედაგოგებისადმი, მოსწავლეებისადმი და იანეთელებისადმი კეთილ სურვილებს კეთილი გულითვე შეუერთდა.

ჩვენდა საოცრად, რატომღაც მასპინძელთაგან არაფერი თქმულა იანეთის იმ სკოლის შესახებ, რომელიც ოპტიმიზაციის შედეგად უკვე იანეთის საჯარო სკოლის შემადგენელი ნაწილია, არადა, ჩვენთვის ცნობილია, რომ იქაც არის რიგი პრობლემები.

სკოლის დირექტორმა მარინე დარსაველიძემ მუნიციპალიტეტის თავკაცების თანდასწრებით სხვადასხვა აქტივობებში გამარჯვებულ მოსწავლეებს სიგელები და ჯილდოები გადასცა. შემდეგ კი სტუმარ-მასპინძლებმა ამ ერთი ჩვეულებრივი, თუმცა, საქმიანი დღის სახსოვრად ერთობლივი ფოტო გადაიღეს.

მწვანე მინდორში ყვითელი ყვავილები ირხევიან სკოლის გრძელ და განიერ ეზოში, ცადაზიდული ნაძვები კი ისევაც გრილ ამინდს მეტ სუსხს ჰმატებენ. რარიგ დაამშვენებდა ვეებერთელა ეზოს ახალი ნარგავები, ეზო რომ სათანადოდ იყოს დაცული.

ერთი სიტყვით, იანეთში პრობლემებიც არის და იმედიც მათი მოგვარებისა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II 2017 წლის საღდგომო ეპისტოლე

"ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მამანო და დედანო, ძმანო და დანო, მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო,

"შვილო, თუ უფალს მიეახლები სამსახურად,

განსაცდელისათვის გაამზადე თავი... ოქრო

ცეცხლში გამოიცდება, უფლის სათნონი

კი, _ მორჩილების ქურაში" (ზირქ. 2,1,5.)

ქრისტე აღდგა!

გვესმის ყოვლადწმინდა მარიამის, მარიამ მაგდალინელისა და სხვა მენელსაცხებლე დედათა გულანთებული, სულისშემძვრელი ძახილი:

ქრისტე აღდგა!

სიხარულით აღვსილნი ადასტურებენ წმინდა მოციქულნი, _ პეტრე და იოანე და სხვა მოწაფენი ქრისტესნი:

ქრისტე აღდგა!

ხმობს ასობით სხვა თვითმხილველიც.

დღეს იშვებს ცანი და ქვეყანა, განსცხრების სიონი და ჩვენც, თანაზიარნი ამ ზეიმისა, ვისმენთ აღდგომილი მაცხოვრის დიად სიტყვებს:

"გიხაროდეთ!" (მთ. 28;9), "მშვიდობა თქვენდა!" (ინ. 20;19), "ნუ გეშინინ, მე ვარ პირველი და უკანასკნელი მკვდარი ვიყავი და, აჰა, ცოცხალ ვარ უკუნითი უკუნისამდე. მიპყრია სიკვდილისა და ჯოჯოხეთის კლიტენი" (გამოცხ. 1, 17-18) და "მოცემული მაქვს მთელი ხელმწიფება ცაში და დედამიწაზე" (მთ 28;18); "ვინც ჩემს სიტყვებს ისმენს და სწამს ჩემი მომავლინებელი, მას აქვს საუკუნო სიცოცხლე" (ინ. 5;24);

რა უნდა იყოს ჩვენთვის ამაზე უფრო ტკბილი და მნიშვნელოვანი მოსასმენად?! იხარეთ, ერნო!

აღდგა ქრისტე და ამასთან ერთად ძველი აღთქმის მართალთა სულნიც; ქრისტეს აღდგომით თითოეულ ასევე ჩვენგანს მიეცა შესაძლებლობა სიკვდილის დაძლევისა და სამოთხის დამკვიდრებისა, რადგან მაცხოვრის კაცობრივი ბუნება მოიცავს ადამიანთა მოდგმის მთელ სისავსეს, ერთ კაცად ქმნილ კაცობრიობას და მასში ვართ ჩვენ ყველანი; მაგრამ მის ჰიპოსტასს ასევე აქვს სრული საღვთო ბუნებაც და ეს ორი ბუნება შეურევნელად, შეურწყმელად და განუყოფლად არის ურთიერთდამტევნელი. აქვს სრული საღვთო ბუნებაც და ეს ორი ბუნება შეურევნელად, შეურწყმელად და განუყოფლად არის ურთიერთდამტევნელი.

დაუშვებელი რომ დავუშვათ და წარმოვიდგინოთ, რომ ძე კაცისას მხოლოდ ადამიანური ბუნება ჰქონოდა და მკვდრეთით აღდგომა შეეძლო, სიკვდილს ოდენ თავის თავთან მიმართებაში დასძლევდა და ისიც მხოლოდ დროებით, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, სინაგოგის მთავრის ქალიშვილის, ნაინელი ქვრივის ვაჟის, ან თუნდაც ლაზარეს მკვდრეთით აღდგინების შემთხვევაში (უფრო ადრე კი ელია წინასწარმეტყველისა და ელისეს მიერ აღსრულებულ სასწაულებში).

მაცხოვართან მიმართებით კი ჯოჯოხეთი მოტყუდა!

იესოში ვერ შეიცნო ღმერთაცი. განიზრახა მისი ადამიანური სულის სხვა ადამიანთა სულების მსგავსად შთანთქმა.

მაგრამ მოხდა წარმოუდგენელი და სრულიად საპირისპირო რამ!

იმის ნაცვლად, რომ ჯოჯოხეთს დაენთქა ჯვარცმული "მეუფე ჰურიათა",

თვითო დაინთქა და შეიმუსრა, რადგან ვერ დაიტია ქრისტე და მის საღვთო ძალას ვერ შეეწინააღმდეგა.

სიკვდილი შედეგია ცოდვისა და ისინი ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ; ხოლო ვინაიდან მაცხოვარი უცოდველი იყო, მას ვერც სიკვდილი დაეუფლა და ვერც ჯოჯოხეთი; პირიქით, ორივე იძლია და განქარდა.

"სად არის სიკვდილო, საწერტელი შენი,

სად არს "ჯოჯოხეთო" ძლევაი შენი" (1 კორ. 15;55)!

იესო ქრისტე თავისკენ უხმობს ცხონების ყველა მსურველს, ახალშობას ანიჭებს მათ მარადიული სიცოცხლისათვის, და, ამასთან, ცასა და მიწას ახალ ცად და ახალ მიწად გარდაქმნის. ამიტომ იგი "მეორე ადამად" იწოდება. "როგორც ერთი კაცის ურჩობით ბევრი გახდა ცოდვილი, ასევე ერთის მორჩილებით ბევრი გახდება მართალი" (რომ. 5,19), _ ვკითხულობთ ახალ აღთქმაში.

უფალთან პირველი და უმთავრესი კავშირის დამყარება ნათლისღებით ხდება. ეს უდიდესი საიდუმლოა და ქრისტეს ჯვარცმას, დაფლვასა და აღდგომასთან თანაზიარებას ნიშნავს; "ვინც მოვინათლეთ ქრისტე იესოში, მის სიკვდილში მოვინათლეთ, ... ხოლო თუ დავენერგეთ მას სიკვდილის მსგავსებაში, ასევე ვიქნებით მისი აღდგომისას, რადგან ვიცით, რომ მასთან ერთად ჯვარს ეცვა... ჩვენი ძველი კაცი, რათა გაუქმდეს ცოდვის სხეული და აღარ ვიყოთ ცოდვის შვილები" (რომ; 6,3,4,6).

ასე რომ, წყალში სამგზის შთაფლვით ჯოჯოხეთში მაცხოვრის სამი დღით ყოფნას, შემდეგ კი მის ძლევასა და აღდგომას ვემოწმებით, ცოდვათაგან სრულიად ვთავისუფლდებით, ახალ ადამში, ქრისტეში, განახლებულ პიროვნებად ვიბადებით. მირონცხება კი გვანიჭებს სულიწმინდის ბეჭედს. ნათლისღებისა და მირონცხების საიდუმლოს მადლმოსილებით იცვლება გული და გონება, ძლიერდება სიყვარული, შემოდის სიმშვიდე, უცხო ხდება რისხვა, მძვინვარება, შური, თვალთმაქცობა, ყოველგვარი ბოროტება და უწმინდურება.

თუმცა ასეთი მდგომარეობა შეიძლება დიდხანს არ გაგრძელდეს. ხელმეორედ შობის (ნათლობის) შემდეგ ადამიანი, თავისი სუსტი ნებისყოფის გამო, ხშირად ეშმაკის მახეში კვლავ ებმევა და იწყება საკუთარ თავთან, ჩვენს მანკიერებებთან ჭიდილის პროცესი, რომელიც გარდაცვალებამდე გრძელდება.

გავიხსენოთ მოციქულის სიტყვები: "გონებით რჯულს ვემონები, საქმით კი ცოდვით რჯულს, არ ვაკეთებ კეთილს, რომელიც მსურს, არამედ ვაკეთებ ბოროტს, რომელიც არც მსურს. ჩემს ასოებში (სხეულის ნაწილებში) მე ვხედავ სხვა რჯულს, რომელიც წინააღმდეგობას უწევს ჩემი გონების რჯულს და მხდის ცოდვის რჯულის ტყვედ. უბადრუკი ადამიანი ვარ!: (მთ. 8,19-24)

ჩვენ რაღა გვეთქმის? თითოეული ჩვენგანის გულიც ასპარეზია კეთილსა და ბოროტს შორის ბრძოლისა; ამასთან, უფრო სუსტი ბრძოლისა, რადგან წინააღმდეგობის გაწევის უნარი ჩვენ ნაკლებად გვაქვს.

რა თქმა უნდა, არიან ისეთი პიროვნებები, თავიდანვე მტკიცე ბარიერს რომ უქმნიან საცდურს; სხვანი უფრო ადვილად თმობენ პოზიციებს, ზოგიერთნი კი საერთოდ ვერ გრძნობენ ნათლობის მნიშვნელობას და მეორე დღესვე ცოდვილ ცხოვრებას უბრუნდებიან.

ეშმაკის საცდურთაგან თავდახსნას კეთილნი და თავმდაბალნი შეძლებენ, _ წერენ წმინდა მამები.

წმ. ანტონი დიდი კი ბრძანებს: ვინც არ არის კეთილი, ვერც ვერასოდეს შეიმეცნებს უფალს და იგიც ასეთს თავისთან არ მიიღებს. ერთადერთი საშუალება ღმერთის შეცნობისა არის სიკეთისა და სიყვარულის გზა.

შევნიშნავთ იმასაც, რომ თუ კეთილი საქმე სხვათა დასანახად და დიდებისმოყვარეობისათვის აღესრულება, იგი ცოდვად გარდაიქცევა; ასევეა სიმართლის შემთხვევაშიც: სიმართლით ქედმაღლობა აცამტვერებს სიმართლეს (წმ. იოანე ოქროპირი).

საერთოდ, ცოდვა მომდინარეობს იქედან, რომ ადამიანი თავის თავს უფრო ბრძნად მიიჩნევს, ვიდრე ღვთის მცნებები და კანონებია. ასეთნი საკუთარ წესებსა და კანონებს გვთავაზობენ ან თავის ნაზრევს ღმერთს მიაწერენ. ამ მხრივ ყველაზე დიდი დანაშაული არის ეკლესიაში განხეთქილების ან მწვალებლობის შემოტანა. ამის ჩამდენნი მოწამეობრივი სიკვდილითაც რომ აღესრულონ, ცოდვას ვერ ჩამოიბანენ. ასევე უდიდესი ცოდვაა ქვეყნის მტრობა და მისი ერთიანობის დარღვევის მცდელობა.

ვნებათა შორის ყველაზე დაფარული და გავრცელებული პატივმოყვარეობაა. ასეთი კაცი ყოველთვის საკუთარ "მეს" უკმევს გუნდრუკს, თუმცა ცდილობს, ეს დაფაროს და სხვათა თვალში კეთილმსახურად გამოჩნდეს.

ეგოისტური "მე" _ სგან განდგომა და საკუთარი თავის პირუთვნელი შეფასება უდიდესი ღირსება და აუცილებელი პირობაა ქრისტიანული ცხოვრებისა.

უპატიებელი ცოდვაა სასოწარკვეთა და სიცოცხლის თვითმკვლელობით დამთავრება. ვინც ამ ნაბიჯს შეგნებულად დგამს, რა თქმა უნდა, ვეღარ უძლებს თავისი ჯვრის სიმძიმეს და გამოსავალს ასეთ ქმედებაშიღა ხედავს. ამ ადამიანებს, სინამდვილეში არასწორი აზროვნება აქვთ. მათი მთავარი შეცდომა ის არის, რომ მარტო ცდილობენ შეეჭიდონ სიძნელეებს და მხოლოდ თავისი შესაძლებლობებით სურთ, გაუმკლავდნენ სირთულეებს. ვერ ხვდებიან იმას, რომ ჯვარი იქამდეა მძიმე, ვიდრე მის ტვირთვას მხოლოდ შენს თავზე მინდობილი ცდილობ; როგორც კი ჩვენი პირადი ჯვარი ქრისტეს ჯვრად იქცევა, ანუ ჩვენი ცხოვრება ქრისტეს რწმენითა და მისი მცნებებით განმსჭვალება, ყოველგვარი დაბრკოლება, ყოველგვარი საშიშროება სხვა განზომილებაში გადადის და აღმოვაჩენთ, რომ უმძიმესი განსაცდელიც კი ჩვენი სიკეთისათვის ყოფილა უფლისაგან დაშვებული. ამის შეგნება ჩვენში სიმშვიდეს ასადგურებს და ღვთისადმი იმედით, მადლიერებითა და მორჩილებით განგვაწყობს.

ერთ-ერთი ფილოსოფოსი ადამიანური ურთიერთდამოკიდებულების ორ ძირითად სახეს ასე ახასიათებს: ეს არის კავშირი: "მე და შენ" და "მე და ის".

"მე და ის", _ ამ ურთიერთობაში "მე" დაშორებულია "ის"-ისაგან, ანუ მესამე პირისაგან. "ის" უცხოა, სხვაა, ზოგ შემთხვევაში მიუწვდომელიც. აქ ნდობას, ახლობლობას ადგილი არა აქვს. იგია დამოკიდებულება სუბიექტსა და ობიექტს შორის.

რაც შეეხება კავშირს "მე და შენ", აქ "შენ" აღარ არის ობიექტი, არამედ იგიც სუბიექტია, "მე"-ს თანასწორია და მათ შორის ურთიერთგაგება და სიყვარულია.

თუმცა ეს მდგომარეობა ხშირად იცვლება და "შენ"-ს ელის საშიშროება, იქცეს ობიექტად. ამის მიზეზი ცოდვით დაცემული ადამიანური ბუნებაა, ჩვენი ნაკლულევანებაა, ადრე თუ გვინ იმ რელობის აღმოჩენაა, რომ ნებისმიერ ადამიანთან შეიძლება დამოკიდებულება შეიცვალოს.

ამიტომაც, თუ გვინდა, ამქვეყნად ვიცხოვროთ სწორად, გულგატეხილობისა და სასოწარკვეთილებისაგან დაცულად, ჩვენთვის "შენ", უპირველესად, უნდა იყოს მარადიული, უცვალებელი ღმერთი, რომელიც ყოველთვის დაგვეხმარება დავძლიოთ ნებისმერი გაუცხოება, ნებისმიერი სირთულე, ყოველი ადამიანური სისუსტე "მე და შენ" ურთიერთობისა.

დიახ, ქრისტე განყენებული ღმერთი კი არ არის, თითოეულ ჩვენგანს პირად მეგობრობას გვთავაზობს; მისი შეცნობა და მასთან დაახლოება ეკლესიაში და ეკლესიური საიდუმლოებებით არის შესაძლებელი: ევქარისტიით თანაზიარნი ვხვდებით მაცხოვრის ჭეშმარიტი ხორცისა და სისხლისა და ვიმსჭვალებით მისი ცხოველმყოფელი მადლით; ამასთან გვეუფლება საკუთარი უღირსების შეგრძნება და მიმტევებელნი ვხდებით. ღვთის დახმარების გარეშე კი ნებისმიერი ადამიანი, როგორც არ უნდა მოინდომოს მან ეს, უკეთესობისკენ ვერ შეიცვლება და ვერც ცოდვისაგან განიწმინდება.

და როგორც მაცხოვარმა საღვთო ძალით შემუსრა ჯოჯოხეთი და სიკვდილი, ჩვენც მხოლოდ ქრისტეს მადლითა და ძალით აღვსილთ ძალგვიძს მათი დამარცხება. ჩვენ ყველას ჩვენი გოლგოთა გველის და ყველა მართალს აღდგომა და ამაღლება.

შესაძლოა გაჩნდეს კითხვა: თუ მაცხოვარმა სიკვდილი დათრგუნა, რატომღა არსებობს იგი ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში?

შეგახსენებთ, რომ აღდგომილი ქრისტე იწოდება როგორც "მეორე ადამად", ისე "პირმშოდ შესვენებულთა", რადგან გარდაცვლილთა შორის პირველმა მან შეიმოსა უხრწნელი სხეული, ანუ აღდგა იმ სახით, რაც ადამს, ღვთის მადლით, ჰქონდა ცოდვით დაცემამდე. ყველა ჩვენგანი კი მაცხოვრის მეორედ მოსვლისას აღვდგებით უხრწნელი სხეულით; მანამდე კი ხორციელი სიკვდილი იარსებებს, ვიდრე თუნდაც ერთი ადამიანი იქნება დედამიწაზე.

საყოველთაო განკითხვისას კი სიკვდილი საბოლოოდ განქარდება, რადგან აღარც მატერიალური ცხოვრებაც დასრულდება და ყოველი ადამიანის სულიც, თავის უნივთო სხეულთან შეერთებული, საბოლოო ხვედრს განიკუთვნებს, _ მართალნი, დამსახურებისამებრ, ზეციური იერუსალიმის სხვადასხვა სავანეში, ცოდვილნი, _ მარადიული სატანჯველის სხვადასხვა სამყოფელში.

ხოლო ვიდრე ეს ჟამი დამდგარა, ჯოჯოხეთში მყოფ გარდაცვლილთა მდგომარეობის შეცვლა, ღვთის მოწყალებით, კიდევ არის შესაძლებელი. მათ თავისი თავისთვის არაფრის გაკეთება არ ძალუძთ, მაგრამ ეკლესიის მეოხება, ახლობელთა მხურვალე ლოცვა და მათ სახელზე აღსრულებული ქველისსაქმენი, თვით ჯოჯოხეთიდანაც იხსნის იმ ადამიანთა სულებს, რომლებიც სინანულით აღესრულნენ, თუმც კი საქმით ვერ მოასწრეს ეჩვენებინათ ამის ნაყოფი. ასეთნი გამოხსნადნი არიან და ჩვენი ვალია, ვიზრუნოთ მათთვის.

რაც შეეხება ცხონებულთა მდგომარეობას, მართალია, ისინი ზეცად ნეტარებენ, მაგრამ თავისი რწმენისა და ღვაწლის სრულ საზღაურს ისინიც მაცხოვრის მეორედ მოსვლისას მიიღებენ.

ეს არის მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება, რომელიც, რა თქმა უნდა, ბევრმა იცის, მაგრამ ბევრსაც სწორი წარმოდგენა არა აქვს, ამიტომაც ამ თემას შევეხეთ.

რაც შეეხება ამქვეყნად მყოფთ: ჩვენ ერთმანეთს ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს ვუსურვებთ ხოლმე და ამისათვის მეტ-ნაკლებად ყველანი ვზრუნავთ, მაგრამ ყველა არ ზრუნავს იმისათვის, რომ სწორად, ღვთისნიერად იცხოვროს; არადა, სიცოცხლის ხანგრძლივობა უფლის ნებაზეა დამოკიდებული, სწორად ცხოვრება კი, _ ჩვენზე. შევთხოვთ ღმერთს, ეს იქცეს ყოველი ადამიანის უმთავრეს მიზნად.

_ რით დავიწყოთ?

_ სინანულით, როგორც გვასწავლის წმინდა იოანე ნათლისმცემელი, როგორც გვასწავლის იესო ქრისტე.

იგია სასწაულთმოქმედი წამალი ჩვენი სულისა!

სინანული ზეციური ნიჭია და წყალობაა, რომელიც ღვთის მსჯავრსაც კი სცვლის; სცვლის პიროვნებისადმი როგორც შემოქმედის, ისე მოყვასის დამოკიდებულებას. მეძავიც, ქურდიც, ამპარტავანიც, მოშურნეც, ლოთიც, შეურაცხმყოფელიც და მოძალადეც... გულწრფელი სინანულით, აღსარებითა და ზიარებით მთელ ჭუჭყს იცილებს და ბოროტებას ასამარებს.

სინანული სინდისის განწმენდაა, ნათლისღების განახლებაა, ცოდვით მომკვდართა აღდგომა და ღმერთთან კავშირის განახლებაა, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩადენილი ცოდვის შესაბამისი იქნება. უფლისათვის ცოდვის სიმძიმე იმდენად გამამწარებელი არ არის, რამდენადაც გამოსწორების სურვილის არქონა. ხოლო ცოდვით თავმოწონება ან საზოგადოებისათვის მისი თავსმოხვევა გაცილებით დიდი დანაშაულია.

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ სინანული დროის ხანგრძლივობით არ განისაზღვრება, არამედ განცდის სიღრმით, რადგან სხვა არის სამართალი ღვთისა და სხვა ადამიანისა. ამასთან სულიერ კიბეზე ამაღლება ნებისმიერ პიროვნებას ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან შეუძლია და ამ წუთისოფელში არ არსებობს ბოროტება, არ არსებობს ისეთი დაცემული მდგომარეობა, საიდანაც უფლისაკენ მობრუნება იყოს შეუძლებელი, რადგან არ არსებობს ისეთი ცოდვა, რომელიც აღემატება ღვთის სიყვარულსა და მოწყალებას.

გავიხსენოთ ვნების კვირაში განვითარებული მოვლენები: გამცემელი იუდა, უფლის სამგზის უარმყოფელი, _ გულმხურვალე მოციქული პეტრე, შეშინებული მოწაფეები, ერთგული იოანე და მენელსაცხებლე დედები, ფარული ქრისტიანები, პირადი კეთილდღეობისათვის უსამართლო მსჯავრის გამომტანი პილატე, ასევე უსამართლო სინედრიონი, მათ მინდობილი გულუბრყვილო ხალხი და სხვანი.

გავიხსენოთ ორი ავაზაკიც, ისინი ხომ ჯვარცმამდე, ფაქტობრივად, მსგავსი ცხოვრებით ცხოვრობდნენ და ერთი ხვედრი ამიტომაც ერგოთ. სულ ბოლო მომენტში, კი, _ ჯვარზე, _ მათი გზები რადიკალურად გაიყო: ერთმა სინანულითა და ქრისტეს რწმენით სამოთხე დაიმკვიდრა, მეორემ კი, უტიფრობითა და უგულისხმობით, _ ჯოჯოხეთი.

თითოეულ ჩვენგანს ჩვენი გზა და ჯვარი გვაქვს. როგორი იქნება იგი და სადამდე მიგვიყვანს?

ინებოს ღმერთმა, ჩვენც ჩვენი გულწრფელობითა და ცოდვის განცდით მაცხოვრის შეწყალების ღირსნი გავხდეთ და საყოველთაო აღდგომის დღეს ჩვენც განგვეცხადოს მისი სიტყვები: "მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ სამყაროს შექმნიდან თქვენთვის განმზადებული სასუფეველი" (მთ. 25,34).

გიხაროდეთ, ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, უდინნო, ქურთნო, იეზიდნო, ბერძენნო, რუსნო, უკრაინელნო, აზერბაიჯანელნო, სომეხნო, ებრაელნო, ქისტნო, ჩეჩენნო, ლეკნო და ყოველნო შვილნო ივერიისა, ჩვენს სამშობლოში მკვიდრნო და ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო.

სიკვდილი შეიმუსრა!

ქრისტე აღდგა!

უფალი მეფობს!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

თბილისი,

აღდგომა ქრისტესი

16. 04. 2017".

რას ფიქრობს ხალხი, ამომრჩეველი?

იქნები თვე ცხოვრობდა ვრცელებიდან

ლევან გაბეჩავა

მიუხედავად იმისა, რომ მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობით ვიწონებთ თავს ქართველები, საპარლამენტო მუშაობის პრაქტიკით ნადვილად ვერ დავიკვეხნით.

ამ არეულ, დიახ, არეულ მსოფლიოში, არეულ ყოფაში ძნელია, ავ-კარგის, რიგ შემთხვევაში მტყუან-მართლის გარკვევა, მაგრამ...

საბჭოეთის რღვევის შემდეგ ცალკეულ რაიონებს მრავალპარტიული (დემოკრატიული) წესით არჩეული პარლამენტარები ჰყავდათ.

თითოეულმა მათგანმა შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი გაკეთა ამომრჩეველთა ნდობის გასამართლებლად. ამ ყველაფერში კი მათი მონდომება უფრო ხილვადი იყო, ვიდრე ყველა გასაკეთებელ-მოსაგვარებელის სისრულეში მოყვანა (არ უნდა იყოს ძნელი მისახვედრი, რასაც ვგულისხმობთ).

გასული წლის შემოდგომაზე გამართულ საპარლამენტო არჩევნებში სამტრედიის, საქართველოს ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი მუნიციპალიტეტის ამომრჩეველმა არჩევანი ბატონ გრიგოლ მიქელაძეზე გააკეთა. კაცზე, პარლამენტის წევრის სტატუსის გარეშეც მრავალი სიკეთე რომ უკეთებია რაიონისათვის, ცალკეული ადამიანებისათვის.

ჯერჯერობით, ბოლო საპარლამენტო არჩევნებით ბევრს იმედები გაუმართლდა, ბევრს პირიქით, თუმცა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ ვისაც არ უნდა გაემარჯვა, პარტიიდან პარტიაში რწყილივით მოხდენილად გადამხტომ-გადმომხტომნი ისედაც კომფორტულად იგრძნობდნენ თავს.

ექვსი თვეა, რაც ამჟამინდელი პარლამენტი უფლებამოსილების შესრულებას შეუდგა.

და მაინც, რა შეიცვალა (შეიცვალა კი? ამ 6 თვეში?

რა კონტურები გამოიკვეთა ქვეყანაში როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში?

როგორია ხალხის, მასების განწყობა?

ამ და რიგ საკითხთა გარშემო "სამტრედიის მაცნე" რამდენიმე რესპონდენტს გაესაუბრა.

ნანა ჯღარკავა, უმუშევარი, 60 წლის: მიუხედავად იმისა, რომ კვლავ უმუშევარი ვარ და პენსიამდე სულ რაღაც თვეებიღა დამრჩა, უნდა ვთქვა, რომ უმუშევრობამ ქვეყანა ქართველების გარეშე დატოვა, ვინ სადაა გადახვეწილი, არავინ იცის.

ისე ნამდვილად კარგია ევროპის ქვეყნებში უვიზოდ რომ შეგვიძლია გადაადგილება. 60 წლის მიუხედავად, თავი ბევრად ახალგაზრდა მგონია, ამიტომაც გითხარით დროებით უმუშევარი ვართქო, კიდევ მაქვს რაღაცის იმედი.

ნაზიბროლა კაპანაძე, 51 წლის: 2 შვილის დედა ვარ, ნამდვილად კარგია სასწავლო სახელმძღვანელოები უფასოდ რომ რიგდება, მგონი, ამ არჩევნებამდე ადრეც იყო ეს წესი, რა ვიცი, რა გითხრათ, მდიდარი და ღარიბი ყოველთვის იყო ქვეყანაში, შორსა ვარ, ჩემო ბატონო, პოლიტიკისაგან, გთხოვთ, სხვას ჰკითხეთ. ვინმე ჩუმად სურათს ხომ არ მიღებს?

ინკოგნიტო: დედა, შვილო, მე მეგონა, კვერცხის საღებავს ყიდულობდი ჩემგან, მეტი არაა ჩემი მტერი, ან მე, ან შენ, ან ჩვენმა ხელისუფლებამ ვერ უშველოს ქვეყანას.

ვენერა პაპავა, 79 წლის: ბევრი რამ გაკეთდა, ბევრსაც გვპირდებიან, მე მწამს, რომ ყველაფერი კარგად იქნება, ღმერთმა ბედნიერი აღდგომა გაგითენოთ!

ლიზა კრავეიშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე: განვლილ ექვს თვეში ქვეყანაში მთელ რიგ მიმართულებებში პოზიტივი ნამდვილად გამოიკვეთა, თუნდაც გამოხატვის თავისუფლება, არავინაა შეზღუდული, საკუთარი მოსაზრება გამოთქვას. არის პრობლემებიც, მაგალითად, მრეწველობა აუცილებლად უნდა აღორძინდეს, განვითარდეს, მეტი სამუშაო ადგილი უნდა გაჩნდეს. წინ კიდევ დროა, მონდომება კი ნამდვილად არის ხელისუფალთა მხრიდან.

გიორგი ლეჟავა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:

მისასალმებელია, რომ მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმა ეტაპობრივად სრულდება, მოგეხსენებათ, განათლება პრიორიტეტადაა მიჩნეული. მაგალითად სოფელ დიდი ჯიხაიშის №1 საჯარო სკოლა პროგრამაშია ჩასმული, რაც სკოლის შენობის რებილიტაციას ითვალისწინებს. რაც შეეხება ბატონ გრიგოლ მიქელაძეს როგორც პარლამენტარს, შემიძლია ვთქვა, აქტიური კაცია, გასულ დღეებში სოფელში ძველი ტექნიკუმის მიმდებარე ტერიტორია დავასუფთავეთ, მუშაობის პროცესში ვიყავით, ჩვენთან რომ გაჩნდა. უყურადღებოდ არავის და არაფერს ტოვებს, ასე რომ, მჯერა, დღევანდელზე უკეთესი იქნება ხვალინდელი დღე. სამუშაო ადგილები კი ნამდვილად უნდა გაჩნდეს ქვეყანაში, ხალხი უნდა დასაქმდეს.

ეს რაც შეეხება რესპონდენტთა აზრს.

ჩვენი აზრით კი, ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტს, შესაბამისად პარლამენტარებს, ერთობ რთული გამოწვევა აქვთ, როგორც ამომრჩეველთაგან, ისე საერთაშორისო თანამეგობრობისაგან.

ამჟამად ხომ მათ (პარლამენტართა) მუშაობას ამომრჩეველთა გარდა ჭოგრიტით მთელი მსოფლიო თუ არა, ევროპა ნამდვილად აკვირდება, ამდენად...

ის, რომ ბოლო 25 წლის მანძილზე საქართველოში როგორც დარგი, თითქმის რომ არ არსებობს მესაქონლეობა, მეჩაიეობა, მეაბრეშუმეობა,

ის, რომ საქართველო დაცლილია ქართველთაგან,

ის, რომ უპოვარი ბენეფიციარები მოგვიმრავლდნენ,

ის, რომ ყოველ ცისმარე დილით ხელისგულისოდენა საქართველოში გახშირებული მკვლელობებისა თუ ავტოსაგზაო შემთხვევებისას დაღუპულთა შესახებ ამაზრზენი სტატისტიკა გვესმის,

ის, რომ და ის, რომ... ნამდვილად დამაფიქრებელია.

და მაინც, როგორი წარმომადგენელი ჰყავს სამტრედიას ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში?

ჩვენი ღრმა რწმენით, სამტრედიელთა რჩეულმა განვლილ 6 თვეში ერთობ პოზიტიურად დაამახსოვრა თავი ამომრჩეველს.

მისი ძალისხმევა მუნიციპალიტეტის წინაშე, ამომრჩეველის წინაშე არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, სიტყვის საქმედ ქცევის პრაქტიკა, გაცილებით ხშირი შეხვედრები ამომრჩევლებთან, ვიდრე ბევრს, მათ შორის ამ წერილის ავტორსაც რომ არ ეგონა, წინადადებები, მითითებები მუნიციპალიტეტში მოქმედი კომპანიების წარმომადგენლებისადმი და ა. შ. ამისი თქმის საბაბს ნამდვილად გვაძლევს.

ვიცით და მოლოდინიც არ გვაქვს, ყველაფერი 4-5 წელიწადში რომ ვერ მოგვარდება, მაგრამ ცხოველთა უფლებების დაცვის პარალელურად სახელმწიფო სასოფლო რაიონებში მცხოვრებთ მგლებისა და მტაცებლებისაგან უფრო მეტად თუ დაიცავს, თუ მეტი კონტროლი დაწესდება ისევ სახელწიფოსაგან ფასების თავაშვებულ "აღლუმზე" რაც გამოიხატება მედიკამენტებზე, პროდუქტზე დღითიდღე მზარდი ფასებით, თუ პარლამენტში ნაკლებად იდებატებენ, ბევრს იფიქრებენ და მერე გადაწყვეტენ სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ნამდვილად კარგი იქნება, უფრო მეტიც, აუცილებელიცაა.

ისე, სხვათა შორის, ქართველ პოლიტიკოსებს გულმავიწყობაც დასჩემდათ ბოლო დროს.

რატომ?

ალბათ, დაავიწყდათ, როგორ გვარწმუნებდნენ თვითმმართველ ქალაქთა რაოდენობის გაზრდა აუცილებელიაო, ამჯერად კი უკუპროცესებზეა საუბარი.

უნდა ვენდოთ ბრძენ წინაპართა ბრძნულად ნათქვამს, ასჯერ გავზომოთ და ერთხელ გავჭრათო.

6 თვე გავიდა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან.

ბნელს _ ნათელი, დაცემას აღმასვლა, უიმედობას იმედი, უშედეგობას შედეგი რომ მოჰყვება, მაინც ჯიუტად გვწამს.

"არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი"

ცესკოს სწავლების ცენტრისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე სამტრედიაში, მე-11 საჯარო სკოლაში 24-დან 28 აპრილის ჩათვლით ხორციელდება საინფორმაციო-სასწავლო კურსი "არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი".

სასწავლო კურსის მიზანი მოსწავლეთა საარჩევნო კულტურის განვითარების ხელშეწყობაა. სასწავლო კურსის შინაარსი მოიცავს: არჩევნების ისტორიული ექსკურსი და თანამედროვეობა; არჩევნები და დემოკრატია; საარჩევნო ადმინისტრაცია და ამომრჩეველი; არჩევნებში ჩართული სხვა მხარეები; იმიტირებული არჩევნები.

სასწავლო კურსის შედეგი იქნება: არჩევნების არსისა და ამომრჩევლის როლის მნიშვნელობის გააზრება ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში.

სწავლების მეთოდოლოგია: "კეთებითი სწავლების" პრინციპი, რომელიც მოიცავს დისკუსიებს, სხვადასხვა ჯგუფურ სავარჯიშოებსა და არჩევნების დღის სიმულაციას.

სამიზნე ჯგუფი: საჯარო სკოლების საშუალო საფეხურის XI-XII კლასის მოსწავლეები, ჩვენს შემთხვევაში მე-11 საჯარო სკოლაა. სწავლების ცენტრის ტრენერია, სოფიო დარჯანია. სასწავლო კურსის ხანგრძლივობას შეადგენს ერთი სასწავლო კვირა (დღეში 1 საათი). პროექტი ხორციელდება 24-28 აპრილის ჩათვლით.

ნინო ანანიაშვილი

საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები იწყება

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და სწავლების ცენტრი მიმდინარე წლის 29 მაისიდან 26 ივნისის ჩათვლით (21 სამუშაო დღე) პერიოდში განახორციელებს საინფორმაციო-სასწავლო პროექტს "საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები". აღნიშნული კურსები ითვალისწინებს კენჭისყრის პროცედურების შესწავლას, რაც ემსახურება სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით და ხელს უწყობს საარჩევნო ადმინისტრაციაში კვალიფიციური საკადრო რესურსის ფორმირებას.

ნანა იმნაძე, 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: "პროექტი საქართველოს 63 მუნიციპალიტეტში განხორციელდება. სასწავლო კურსის გავლა შეუძლია საქართველოს მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან. სასურველია პროექტში მონაწილეობის მსურველ პირს გააჩნდეს საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის გამოცდილება, არჩევნებზე დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობის გამოცდილება, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი ან საარჩევნო განვითარების სკოლის სერტიფიკატი. მონაწილეთა ჯგუფების შედგენისას გათვალისწინებული იქნება გენდერული თანასწორობის პრინციპი. კურსის გავლისთვის, საჭიროა კონკურსანტმა შეავსოს აპლიკაცია და წარადგინოს პროექტი განხორციელების ადგილის მიხედვით ჩვენთან საოლქო საარჩევნო კომისიაში, 24 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით. აპლიკაციის წარდგენისას თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი".

საოლქო საარჩევნო კომისიებმა აღნიშნული პროექტის ორგანიზება და ჩატარება უნდა განახორციელოს შემდეგი გრაფიკის მიხედვით: მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია საოლქო საარჩევნო კომისიებში: 24 აპრილი _ 2 მაისი (7 სამუშაო დღე); საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ სააპლიკაციო განაცხადების მიხედვით მონაწილეთა შერჩევა და ჯგუფების დაკომპლექტება: 3-11 მაისი (7 სამუშაო დღე); ჯგუფების დაკომპლექტების პრინციპი: არანაკლებ 15 და არაუმეტეს 20 მონაწილისა. საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ შერჩეული მონაწილეებისა და დაკომპლექტებული ჯგუფების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს ცესკოს საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის საარჩევნო კომისებთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მართვის განყოფილებისათვის არაუგვიანეს 15 მაისისა.

ნინო ანანიაშვილი

"მე კი ვფარავ..."

რამდენიმე თვის წინ დიდი სიხარულით შევხვდით ჩვენს ქალაქში, მომავლის ბაღში დამონტაჟებულ წიგნის ბუდეს. ეს ეგრეთ წოდებული მინი-ბიბლიოთეკა პროექტ "ეკვილიბრიუმის" ფარგლებში ეროვნული ბიბლიოთეკისა და კომპანია "სუფთა სახლის" მიერ განხორციელებული აქტივობაა. იმ დღეს სამტრედიას ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, გიორგი კეკელიძე სტუმრობდა. წავიდნენ და წიგნებით სავსე ბუდე დაგვიტოვეს...

დღეს ასე გამოიყურება ეს წიგნის ბუდე _შუშებჩამსხვრეული და წიგნებისგან განძარცვული. სამწუხაროა, რომ 147 წლის ისტორიის მქონე ქალაქში და იმ ქალაქში, რომელმაც უამრავი ინტელექტუალი, მოაზროვნე, მსოფლიო დონის მწერალი, ექიმი, მსახიობი, ხელოვანი... მისცა ქვეყანას, ღია ცის ქვეშ განთავსებულ წიგნის ბუდეს ვერ ვუპატრონეთ! ანდა ყველა ერთად გაგიჟდა, გადაირია და შეიპყრო წიგნების კითხვის მანიამ? უცხოელ და ქართველ კლასიკოსთა სქელყდიანი წიგნების ნაცვლად, რომელთა შინ წაღება და უკანვე მობრუნება ევალებოდათ მოქალაქეებს, იქ ახლა მხოლოდ სამი სიფრიფანა ბროშურა დევს. არ მინდა, ჩემი ქალაქი წიგნთან დამოკიდებულებაში ცუდ კონტექსტში წარმოჩნდეს, მაგრამ რას ვიზამთ, "მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ფარავს"...

ნათია ნაცვლიშვილი

ჩვენი ენა ჩვენვე გავაცოცხლოთ

_ დღეს ფეისბუქში რომ შემოხვალ ფოტო დამილაიქე, რა!

_ ოქეი!

ჩვენ, დღევანდელი ახალგაზრდობა ქართულ ენას, რომლის შესანარჩუნებლად ქართველ ერს დიდი ბრძოლა მოუწია, უბრალოდ, დაუფიქრებლად ვანადგურებთ. როცა ვსაუბრობთ, წინადადებაში ექვსი სიტყვიდან, ყველაზე ცოტა, 2 სიტყვა ბარბარიზმია. ყური კი იმდენად მიჩვეულია ამ ყველაფერს, რომ არც კი გვიკვირს, უფრო მეტიც, გვაოცებს და ირონიას იწვევს ჩვენში, როცა ამ სიტყვების ქართული ფორმა გვესმის. "ენა დედაა ერისა" _ ეს სიტყვები ყოველი ქართველისთვის საამაყო უნდა იყოს. ჩვენი ენა დღითიდღე ნადგურდება. ერის არსებობის ერთ-ერთი და მნიშვნელოვანი ნიშანი კი ენაა. ბარბარიზმების პოპულარობას ხელი არა მარტო ახალმა თაობამ, არამედ პრესამ, ტელევიზიამ და სახელმწიფო დაწესებულებებმა შეუწყვეს. სირცხვილია, როცა ქუჩაში ინგლისურ წარწერებს ვხედავთ მაღაზიებზე, სასტუმროებზე, კაფეებზე. მათ გვერდით კი ქართული სახელწოდებები გამქრალია. ტელეარხებზეც კი გადაცემათა დიდ ნაწილს ინგლისური დასახელება აქვს. ნეტავ, ქართულში სიტყვათა მარაგი გამოგველია? ეს ყველაფერი ენის შეურაცხყოფაზე მიგვანიშნებს.

საზოგადოების ნაწილს რომ ჰკითხოთ, ალბათ, არც კი ეცოდინება, 14 აპრილს რომ საქართველოში "დედაენის დღე`" აღინიშნება. 1978 წელს ქართულმა საზოგადოებამ მტკიცე პროტესტი გამოთქვა საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსს ჰკარგავდა. დაიწყო მასობრივი საპროტესტო შეკრებები და გამოსვლები, რომლის კულმინაცია 14 აპრილს თბილისის უნივერსიტეტის ეზოდან რუსთაველის გამზირზე მოწყობილი მსვლელობა და მრავალათასიანი მიტინგი გახდა. დაძაბული ვითარების გამო ოფიციალური მოსკოვი იძულებული გახდა, დაეთმო და კონსტიტუციაში ცვლილება აღარ შევიდა. ხოლო 14 აპრილი "დედაენის" დღედ გამოცხადდა.

თუ გგონია, რომ მარტო ვერაფერს შეცვლი, ძალიან ცდები, რადგან შენ საზოგადოების ნაწილი ხარ, რომელიც ჰქმნი უმრავლესობას და თუ თითოეული ჩვენგანი მოინდომებს და გადადგამს პირველ ნაბიჯს, არ დაელოდება სხვას, გადაუსვამს ხაზს იმ სტერეოტიპს, რომ თუ ჟარგონით ისაუბრებ, ეს მოდურია, ჩვენ დავიცავთ და შევინარჩუნებთ ჩვენივე ენას!

ნანა ქავთარაძე
მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის ნორჩ ჟურნალისტთა წრის წევრი

"ეს ვინ ჩაგაცვა შავი კაბა აპრილის თვეში"

დარბაზში ტიტები, სანთლები, გულზე შავი ლენტები ოცდამეერთე საუკუნის გოგო-ბიჭებს... ასე, ღირსეულად, ტრაგედიისა და ტკივილის გაცნობიერებით შეხვდა ქალაქის მეშვიდე საჯარო სკოლა (დირექტორი მარინა გოგიშვილი) საქართველოში ოცდამერვედ შემოსულ 9 აპრილს. დღეს გლოვისას და ღირსებისას, ტკივილისას და ცრემლის მოწმენდისას, ბარ-ნიჩბით გალახულ ქართულ გაზაფხულს და მოწამეთა ხსოვნას ჯეროვანი პატივი მიაგეს... 28 წლის წინანდელ საქართველოში გადავინაცვლეთ, იმ სისხლიანი ღამის მონაწილეებად ვიქეცით თითქოს, როცა უიარაღო, მამულზე მლოცველ გოგო ბიჭებს, იმპერიის მარწუხებიდან სამშობლოს გამოხსნას რომ ითხოვდნენ, რუსული ტანკები დაუპირისპირდნენ და რუსი სამხედროები ბარ-ნიჩბებით გაუსწორდნენ...

მეშვიდეკლასელებმა არცთუ კარგად უწყოდნენ ამ თარიღის მნიშვნელობა, მიუხედავად იმისა, რომ მათი სკოლის სტენდზე ცხრა აპრილის მოწამეთა ფოტოები მრავალი წელია არის გამოფენილი. 9 აპრილი ახლოვდებოდა და გეოგრაფიის პედაგოგსა და კლასის დამრიგებელს, ლიკა რუსიას მოსწავლეებმა ამ თარიღის შესახებ უამრავი კითხვა დაუსვეს, პედაგოგმა გადაწყვიტა, საინტერესო ღონისძიებით გამოხმაურებოდნენ საქართველოს ისტორიის ამ მნიშვნელოვან თარიღს. თითოეული დაღუპული გმირის შესახებ მოგვითხრეს მოსწავლეებმა, მათი ისტორიების მოსმენამ დარბაზში ბევრს მოჰგვარა ცრემლი. აჟღერდა ის სიმღერა, ტანკებს წინ რომ შეაგებეს უსინათლოებმა. "დაუკარით, ჯერ ხომ სისხლი გვიდუღს ძარღვში, ჯერ ხომ საროს ფოთლები არ გასცვენია"... პატრიოტულმა სიმღერებმა და ლამაზმა ქორეოგრაფიულმა ნომრებმა დაამშვენა საღამო. საქართველოს ეროვნული მოძრაობის სულისჩამდგმელთა ღვაწლზეც ისაუბრეს და 1991 წლის 9 აპრილის ისტორიულ მნიშვნელობაზეც, როცა უზენაესმა საბჭომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რაც თავისთავად 9 აპრილის გმირებისა და ეროვნული მოძრაობის დიდი მონაპოვარი იყო. ემოციური და სევდიანი საღამოს ბოლო აკორდად ჯემალ სეფიაშვილის "ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები" იქცა. სიმღერა, რომელმაც არა მარტო ყველა ქართველი მომღერალი, არამედ, სრულიად საქართველო გააერთიანა და ქვეყნის ტკივილიან ჰიმნად იქცა. დაუნთეს სანთლები ახალი დროის მოწამეებს და ღმერთს შეავედრეს მათი სულები. დარბაზში მყოფმა პედაგოგმა, ნაზი ადეიშვილმა სხვათა მსგავსად ვერ შეიკავა ცრემლები და ისიც გაიხსენა, შვილთან, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერთან, ზაზა ადეიშვილთან ერთად რომ ჩავიდა სულშეგუბებულ და სუნთქვაშეკრულ თბილისში 9 აპრილის სისხლიან დილას.



ნათია ნაცვლიშვილი

"და გალობის ჟამს გვკლავენ"

ნათია ნაცვლიშვილი

არ არის ადვილი, 28 წლის წინანდელი ამბავი _ 9 აპრილის ტრაგიკული ღამის ისტორია მესამეკლასელ ბავშვებს გააცნო, მაგრამ მაინც. საოცრად ნიჭიერი თაობა მოდის და მათი დამრიგებელი, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პედაგოგი ლია კაკულია, ვინ იცის, უკვე მერამდენე თაობას განუმარტავს ქართველთათვის საამაყო ამ თარიღის ისტორიულ მნიშვნელობას. მუნიციპალიტეტის პირველი საჯარო სკოლა 9 აპრილის ქუჩაზე მდებარეობს და ეს ფაქტორიც ამ გაკვეთილის ბიძგის მიმცემი აღმოჩნდა.

პედაგოგის მიერ დასმულ შეკითხვებს საოცარი სისხარტით პასუხობდნენ ბავშვები და მახვილგონივრულ პასუხებს აგებებდნენ. მოსწავლეებმა საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, კულტურის შესანიშნავი ცოდნა გამოავლინეს. შემდეგ ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია წარმოადგინეს და საოცარი სიცხადით გაგვიცოცხლეს საქართველოს უახლესი ისტორიის ტკივილიანი ღამე. ლექსები, სულისშემძვრელი ლექსები, 9 აპრილის მერე ხეებზე რომ გამოკიდეს ავტორებმა, არ ეძლევიან დავიწყებას, ქაშუეთში მაშინ დანთებულ სანთლებსაც არ ჩაქრობია ალი... ჰყვებიან ბავშვები იმ ლექსებს ისეთი ემოციით, გჯერა, ქვეყნის სიყვარულის მუხტი არ განელებულა... "ქაშუეთს ზემოთ ტბა დგას ტიტების, მე ტბის ნაპირას ვდგევარ და ვტირი: ვაიმე, ჩემო უხმლო ლაშქარო!..." შესაბამისი ფოტომასალა წარმოდგენილი იყო კედელზე, პედაგოგისა და მშობელთა დახმარებით მოიძიეს 9 აპრილის შესახებ მასალა, გაცვნენ წიგნს " 9 აპრილი", რომელიც ტრაგედიის მოხდენისთანევე გამოიცა. ბავშვებზე ემოციური ზეგავლენა ძალიან ძლიერი რომ არ ყოფილიყო, მომიტინგეთა ხოცვა-ჟლეტის ვიდეოკადრები გაკვეთილის დასკვნით ნაწილში აჩვენა მათ პედაგოგმა. ასევე აუხსნა, რომ 1989 წლის 9 აპრილს ორი წლის შემდეგ დამოუკიდებლობის გამოცხადება მოჰყვა. ღონისძიება სკოლის დირექტორმა, ხათუნა ფაილაძემ შეაფასა: "ეს არის საქართველოს უახლესი ისტორია და ამ ბავშვებმა უნდა იცოდნენ. შევეცადე, არ მეტირა, ისეთი დიდი იყო ემოცია ამ გაკვეთილზე. ძალიან ტკივილიანი იყო ჩემთვის 9 აპრილის დილა, მახსოვს, სკოლაში მისულებს, როგორი საშინელი განცდა გვქონდა, ჩვენ დაგვიხოცეს ჩვენი მეგობრები, მინდა, არასოდეს განმეორდეს მსგავსი რამ თქვენს ცხოვრებაში. მადლობა ლია მასწავლებელს, რომ თქვენ ასე ბევრი იცით ამ დღის შესახებ, მადლობა თქვენ, ეს დღე იყო საფუძვლის დამდები იმისა, რომ თქვენ გეცხოვრათ თავისუფალ საქართველოში."

ინტელექტისა და გართობის საუკეთესო სინთეზი

ნათია ნაცვლიშვილი

მეთერთმეტე საჯარო სკოლის დარბაზს ლურჯთვალა იისა და მაისის ვარდის სურნელი მოჰფენოდა. დეკორაციები სავსებით შეესატყვისებოდა მეორეკლასელთა ღონისძიების მთავარ თემას. გაზაფხულსა და სამყაროს გაზაფხულს _ ქალს, დედას მიუძღვნეს საინტერესო და სახალისო ღონისძიება, რომელსაც, ამავდროულად, ინტელექტუალური შეჯიბრის სახეც მისცეს.

_ რატომაც არა, თქვენი შვილები ჯანსაღი ამბიციების მქონენი არიანო, მეორე მესამე კლასის დამრიგებელმა, თეა კორძაძემ და შემეცნებით-გასართობი საღამოს სახელწოდება _ ''ამბიციურები'' ამით გაამართლეს. ლექსიც და ბგერაც უხვად დახარჯეს, წარმოთქვეს ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები დედაზე, შეასრულეს ქართველ კომპოზიტორთა ბრწყინვალე სიმღერები, ქართული ცეკვების ცეცხლიც დაანთეს... არტისტიზმიც მოიხმეს და გონებაც დაძაბეს, არცთუ მარტივი შეკითხვებისათვის თავი რომ გაერთვათ და მთავარი სათქმელი დარბაზში მყოფი საპატიო სტუმრების მოსაწონად რომ ეთქვათ. პედაგოგისა და მოსწავლეების ინტერაქტიულობას მშობელთა აქტიურობაც დაემატა. სახალისო კითხვებთან ერთად, შეკითხვებს გეოგრაფიიდან თუ ფიზიკიდან მშობლებმაც უპასუხეს.

ჟიურის წევრები სკოლის დირექტორი, ლენა ხაჟალია, სასწავლო ნაწილის გამგე, ნანა მანჯგალაძე და საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტი ელზა ცხვირავაშვილი იყვნენ. კლასი ორ ჯგუფად, ''იებისა'' და ''ვარდების'' ჯგუფად იყო დაყოფილი. ''იების'' კაპიტანი კაკო გაბედავა, ხოლო ''ვარდებისა'' საბა ვაშაკიძე გახლდათ. ''ვარდების'' დედიკოების გუნდს მარიკა კალაძე, ხოლო ''იებისას'' _ ლალი სხალაია კაპიტნობდა. საბოლოოდ, როგორც პატარების, ისე დედიკოების გუნდების შემთხვევაში მეგობრობამ გაიმარჯვა.

ლენა ხაჟალია: '' ძვირფასო მეგობრებო, სკოლის მისიაა, აღზარდოს მან ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე ადამიანი, ამ მისიას ყველა სკოლა ემორჩილება. ვფიქრობ, ამის კარგი და ნათელი მაგალითია ეს ღონისძიება. სკოლა, ოჯახი, საზოგადოება _ ამ სამი კომპონენტის შეხამება იდეალურია, მიხარია, რომ ეს ტრადიცია, მშობლების ჩართულობა ჩვენს სკოლაში დამკვიდრდა, დიდი მადლობა ყველას, ძალიან ლამაზები ხართ, მშობლებო, მშვენივრად გაართვით თავი თქვენს დავალებას, მადლობა თეას, ერთ-ერთ საუკეთესო, შრომისმოყვარე, მიზანსწრაფულ და შედეგებზე ორიენტირებულ მასწავლებელს. ჯერ ერთი წელია, რაც ისინი სკოლის მერხს მიუსხდნენ და ასეთი ცოდნა გამოავლინეს.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი, პედაგოგი ალექსანდრე თევზაძე: ''მადლობა ყველას, ქალბატონმა ლენამ მართებულად აღნიშნა, ჩვენი მოქალაქეები ჯერ ეროვნული სულისკვეთებით უნდა აღიზარდონ და მერე ზოგადსაკაცობრიო პრობლემებსაც შეეჭიდებიან, როცა თქვენთან მოვდიოდით, დარწმუნებული ვიყავით, რომ მაღალ დონეზე ჩატარებული ღონისძიების შემფასებელნი ვიქნებოდით. ყველანი ნიჭიერები და ლამაზები ხართ, მადლობა პედაგოგს, მოსწავლეთა ნიჭი და უნარი სათანადოდ რომ წარმოაჩინეთ, თქვენი სკოლა მოწადინებულია, ფეხს უწყობდეს დროის მოთხოვნებს, გისურვებთ წარმატებებს''.

მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე, დავით ბახტაძე: '' მადლობას მოგახსენებთ ასეთი ლამაზი ღონისძიების ჩატარებისათვის, მადლობა ჩვენი მოწვევისათვის, მნიშვნელოვანია არა მარტო მოსწავლეთა აქტიურობა, არამედ, მშობელთა ჩართულობაც ამ ღონისძიებაში. ასეთი ღონისძიებები ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებას და ჩვენი საზოგადოების ღირსეულ პიროვნებებად ამ ბავშვების ჩამოყალიბებას.''

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ლიზა კრავეიშვილი: ''მინდა მადლობა გითხრათ ამ საღამოსათვის, სადაც აკადემიურობა და მხატვრულობა ურთიერთს შეერწყა. ლამაზი ჩართულობა იყო მშობლებისა. ჩვენ ქართველებს გვაქვს ამბიცია, რომ განსაკუთრებული ხალხი ვართ, ეს განსაკუთრებულობა დღესაც იგრძნობა, რა კარგები არიან, აღნიშვნის ღირსია ბავშვების ვიზუალი, ამ ბავშვებში ლამაზი სულია. ეს სკოლა ცნობილია მაღალი შედეგებით და მომავალშიც უამრავ წარმატებულ ღონისძიებას ველით თქვენგან''.

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე: ''მე ვწერ უმაღლეს ქულას, მინდა თქვენი ცხოვრების გზა იებითა და ვარდებით იყოს მოფენილი, სასიამოვნოა, რომ ასეთი გოგო-ბიჭები გვეზრდება, დიდი მადლობა ამ სიამოვნებისათვის და მომავალში გვჯერა, კიდევ უფრო საინტერესონი იქნებით!''

ელზა ცხვირავაშვილი: ''ძალიან ლამაზები, ნიჭიერები ხართ, გილოცავთ, ძალიან მიხარია, რომ ასე კარგად თანამშრომლობენ მშობლები შვილებთან, თქვენს გვერდით გვიგულეთ, მუდამ გაზაფხული იყოს თქვენს ცხოვრებაში''. პედაგოგმა თეა კორძაძემ თანადგომისათვის მადლობა გადაუხადა ქორეოგრაფებს გელა თურმანიძესა და მაკა მეფარიშვილს, კომპოზიტორ ნონა ჭახნაკიას, მუსიკის პედაგოგ ანა აბზიანიძესა და გოჩა ჩაჩუას.

რწმენა პატარა გულებში

თეა ბაბუნაშვილი

საკმევლის სურნელით გაჟღენთილი ჰაერი. ანთებული სანთლები. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის წინა სამუშაო კვირა. თეთრ სამოსში გამოწყობილი გოგო-ბიჭები გულზე წითელი ჯვრებით _ საქართველოს დროშის იმიტაცია. წინასააღდგომო მზადება უკვე ეტყობოდა იმ დიდფანჯრიან ოთახს ქალაქის მეორე საბავშვო ბაღში, სადაც ღონისძიებაზე ''რწმენა პატარა გულებში'' მივიწვიეს.

''უფალო, იესო ქრისტე, შემიწყალე მე ცოდვილი...'' _ უცოდველი პატარების წაკითხული ლოცვა განსაკუთრებულად გულწრფელი იყო. იცოდნენ ბევრი, იმაზე გაცილებით მეტი, 4-5 წლიან ჯგუფში რომ შეიძლება იცოდეს აღსაზრდელმა. რელიგიის მოკლე ისტორია ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებით, ქართველთა დიდი საგანძურის, ''ვეფხისტყაოსნის'' ეპიზოდები და კიდევ ბევრი რამ, რისი ცოდნითაც იმ 45 წუთიან ღონისძიებაზე სტუმრებთან თავი მოიწონეს, მათზე გაცილებით უფროსი ბავშვებისთვისაც კი სანაქებოა. ეს ყველაფერი თამუნა მასწავლებელმა ასწავლათ დიდი მონდომებითა და ბეჯითობით. თამუნა კიკაჩეიშვილი, ძალიან რომ უყვართ პატარა აღსაზრდელებს, უკვე არაერთი წელია ამ საბავშვო ბაღის ერთ-ერთი წამყვანი პედაგოგია. მის ხელში

''გავლილი'' პატარები ყოველთვის გამოირჩევიან ასაკთან შესატყვისი ცოდნით. თანაშემწე ლია ნიკურაძესა და ძიძა ნატალია გაგუასთან ერთად მოწყობილი ეს საღამო, არა მხოლოდ ლამაზი ღონისძიება, არამედ იმის დასტურიც გახლდათ, რომ ქალაქის მეორე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს ძლიერი საფუძველი აქვთ დაწყებით კლასებში სწავლის გასაგრძელებლად.

მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართო, პატარებმა, წმინდა ნინომ გააქრისტიანა საქართველო ვაზის ჯვრით, რომელიც საკუთარი ნაწნავით შეკრაო. კვერცხის წითლად შეღებვის, სააღდგომო პასქის ისტორია და... კიდევ ბევრი რამ სცოდნიათ მათ.

საგალობლები?! ლელა მასწავლებლის ნასწავლი არაერთი საგალობელი შეასრულეს.''ვაი, რა კარგი საჩინო, რა ავად მიგიჩნიესო'' _ გალობდნენ პატარები. ლელა ჯოგლიძეს, მუსიკის მასწავლებელს, თვალებში შესციცინებდნენ, რომელიც ბგერას აშველებდა და მათთან ერთად გალობდა.

საბავშვო ბაღის მმართველი ინგა კვერნაძე აღნიშნავდა, რომ მათ საბავშვო დაწესებულებაში უპირველესად ორიენტირებულები არიან, ''აღსაზრდელებს მტკიცე საძირკველი მივცეთ ცოდნის კედლების დასაშენებლად. მეთოდისტისა და ზოგადად, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დახმარებით ვცდილობთ, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი გამართულად, მეთოდურად სწორად წავიყვანოთ.'' როგორც მმართველმა გაუსვა ხაზი, ჯგუფის პედაგოგს, თამუნა კიკაჩეიშვილს იმ დროისთვის გამზრდელი ბებია სახლში გარდაცვლილი ჰყავდა, მაგრამ იმიტომ, რომ მომზადებულ პატარებს გული არ დასწყვეტოდათ და ღონისძიებაც თემატურად მისაღებ დროს ჩატარებულიყო, საკუთარი ოჯახური პრობლემა გვერდზე გადასდო.

საპატიო სტუმრები ჰყავდა წინასააღდგომოდ მოწყობილ ამ პატარა საღამოს. გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილი, კულტურის სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელი ხათუნა გაგუა და მისი მოადგილე მარინა შენგელია ამ საბავშვო ბაღის მეთოდისტი, იზო ხუჭუა განსაკუთრებულ კმაყოფილებას გამოხატავდნენ ბავშვების მომზადების დონით და აღნიშნავდნენ, რომ მეორე საბავშვო ბაღი არის სკოლამდელი დაწესებულება, სადაც ყოველთვის გამართული და საინტერესო ღონისძიებები ეწყობა.

''თქვენი ტოლი რომ ვიყავი, საბავშვო ბაღებსა და სკოლებში ასეთი რამეები არ ისწავლებოდა. მადლობა თქვენ, რომ ეს დანაკლისი შემივსეთ. დღეს, როცა განსაკუთრებით უჭირს მართლმადიდებლობას, ათასი მტერი ჰყავს ჩვენს სარწმუნოებას, ათასგზის მნიშვნელოვანია ამგვარი ღონისძიებების გამართვა და ბავშვებისთვის ასეთი ცოდნის მიცემა.'' _ აღნიშნა გამგებლის მოადგილემ, ლიზა კრავეიშვილმა. როგორც მეთოდისტი იზო ხუჭუა ამბობს: ''ეს გახლავთ საბავშვო ბაღი, სადაც სააღმზრდელო პროცესი ყოველთვის გამართულად ტარდება. როცა არ უნდა ესტუმრო აქაურობას, მთელ პედაგოგიურ კოლექტივსა და აღმზრდელებს მუდამ მოფუსფუსეს ნახავ. მმართველის ენერგიულობა და აქტიურობა მათ მოდუნების საშუალებას არ აძლევს. ასეა ამ შემთხვევაშიც. ღონისძიება, რომელიც ჩვენ ვნახეთ, ჯდება ყველა ასაკობრივ ჩარჩოში. აღსაზრდელები გამართულად მეტყველებენ, ფლობენ საკმარის ცოდნას. თამუნა კიკაჩეიშვილის მუშაობა დადებითად უნდა შეფასდეს.''

თამუნა მასწავლებლისგან საჩუქრად წმინდა მიწიდან ჩამოტანილი უფლის კვართის ნიმუში გადაეცათ პატარებს. მისი მადლი გფარავდეთო, დალოცა ისინი მასწავლებელმა.

''გამოუშვით ჩემთან ბავშვები'' _ იესოს შეგონება საკმევლის სურნელით გაჟღენთილ დიდფანჯრიან ოთახში ყველაზე უცოდველების ვედრებით ''შემიწყალენ მე, ცოდვილი'' წინასააღდგომოდ უფლის ჭეშმარიტი რწმენის გასაღრმავებლად აღევლინა.

ქრისტე აღდგა!

აღდგომა უდიდესი ქრისტიანულ დღესასწაულია მკვდრეთით აღდგომა კი ქრისტიანული რელიგიის ყველაზე მთავარ დოგმატს წარმოადგენს. მაგრამ სამყაროში ყველა ერთნაირად როდი აღიქვამს ამ უდიდეს ქრისტიანულ მოვლენას. არიან მწერლები და ფილოსოფოსები, მათ შორის არაქრისტიანული სარწმუნოების წარმომადგენლები, რომლებიც არ ეთანხმებიან ეკლესიის ამ უდიდეს დოგმატს თვით ქრისტიანულ სამყაროშიც კი, მაგრამ არიან მათ წრეებში ისეთებიც, რომლებიც ეთანხმებიან. საინტერესოა საილუსტრაციოდ ზოგიერთი მათგანის ციტირება. ქრისტიანული რელიგიის მომხრეთა შორის არიან გამოჩენილი ადამიანები: ი. ნიუტონი, ბლეზ პასკალი, ჯ. ბაირონი, მ. სერვანტესი, კონსტანტინე იმპერატორი, წმ. ავგუსტინე, იოანე პავლე II, ილია II, ვ. ჰიუგო, ბახი, კორეგორი, გოეთე, რემბრანდტი, დიკენსი, ლ.ტოლსტოი, ი. ჯავახიშვილი, ჯ. ვაშინგტონი, ი. დოსტოევსკი, ლერმონტოვი, ვაჟა-ფშაველა, რუსთაველი, გურამიშვილი, პაპი ფრანცისკე, კ. გამსახურდია, სოლომონ ბრძენი, გ. ტაბიძე, დედა ტერეზა, ი. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, მილტონი, დანტე, გ. ფლობერი და სხვები. რა თქმა უნდა, ეს არ არის სრული ჩამონათვალი, მაგრამ ცხადია, საზოგადოების მიერ ამ მოღვაწეთა სიყვარული სწორედაც განაპირობა ქრისტიანობის მიმართ მათმა სწორმა მიდგომამ. ახლა წარმოგიდგენთ მოწინააღმდგეთა სიას: დიოკლიტიანე, ჩინგიზ-ყაენი, თემურ-ლენგი, შაჰ-აბასი, ჰიტლერი, ნიცშე, ფროიდი, ტროცკი, ლენინი, სტალინი, ვოლტერი, დიდრო, ემილ ზოლა, მონტესკიე, გორკი, ნერონი, მაიკოვსკი, რასელი, ბის-მარკი, ნაპოლეონი, პუშკინი, ოსტროვსკი, გორკი, შელი, ფ. მახარაძე, გალილეო გალილეი, მიქელანჯელი, რაფაელო, ეკატერინე II, სტენდალი, ო. ბალზაკი და სხვები.

მორწმუნეთა რიცხვი გაცილებით მეტია ათეისტებთან შედარებით. მათი რიცხვი თანდათანობით კლებულობს, ეს ნიშნავს, რომ მომავალის კაცობრიობა კიდევ უფრო მეტად გაითავისებს ჭეშმარიტი ღმერთის არსს. ფრანგი, დომინიკელების ორდენის წევრის, მამა ლაგრანუისი (1855-1938), რომელმაც 1890 წელს დააარსა ბიბლიის შემსწავლელი სკოლა, ამბობს: "პირველ ქრისტიანებს ზარავდაო ქრისტეს ჯვარზე გამოსახვა. რადგან თავისი თვალით ჰხედავდნენ ამ უხეშ გადაჯვარედინებულ, ზეაღმართულ ძელებზე მიკრულ მთლად შიშველ სხეულებს; ამ ძელებზე მილურსმულ ხელებს, ლურსმნითვე მიჭედებულ ფეხებს, საკუთარი სიმძიმით მიწისაკენ დაწეულ სხეულს, ჩამოვარდნილ თავს, სისხლის სუნით მოზიდული ძაღლების ხროვას, ფეხებს რომ უჯიჯგნიდნენ ჯვარცმულთ, ამ სვავებს, ცოდვის ველს რომ დასტრიალებდნენ თავს და ტანჯვით ღონემიხდილ, წყურვილით შეღონებულ მსხვერპლთ უთვალთვალებდნენ, გმინვით რომ უხმობდნენ სიკვდილს. ასეთი იყო მონებისა და ავაზაკების სასჯელი. ეს აიტანა იესომ".

დ. გურამიშვილი: "დიდება მოთმინებასა შენსა უფალო იესო".

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი "იესო ძე კაცისა" "სიდონელი ქალი". _ ხმობა: "იგი ეამბორა სიკვდილის ბაგეებს, სიმწრისღიმილიანს, უფერულს, გაცრეცილს და ახლა სიცოცხლის სიყვარულს" ამკვიდრებს, ყური მიუპყარით, ვით ხმიანობს იესოს სიტყვა. ჩვენს ყველა ჰანგზე, ჩვენს ყველაზე დიად განცდებზე ბევრად მეტია იესოს ხმა და ბევრად ღრმაა".

ჯონ რიოსკინი _ "კაცობრიობის ცოდვა თავისი არსით, იუდას ცოდვაა, ხალხს არ სწამს თავისი ქრისტე, არამედ ჰყიდიან მას; თალმუდი ამბობს, ვინც ხშირად სცოდავს, ის ხედავს უკვე თავის ცოდვას, როგორც რაღაც უკვე ნებადართულს".

რა ვქნათ, ცოდვილნი ვართ და მოკვდავნი, გაიძახიან სხვანი, ნუთუ არ მიგვეტევება ჩვენი ცოდვები? კვლავ ბრძნული, ღვთიური თალმუდი გვმოძღვრავს. ღვთისმოსავნი ფიქრობენ, რომ ჩვენი ახალგაზრდობის სახელი არ უნდა სვრიდეს ლაფში ჩვენს სიბერეს. მერე მონანულნი იტყვიან: სიკეთე მას ვინც უცოდველია, ვინც შესცოდა მოინანიოს, გამოსწორდეს და თავისთავს აპატიოს. კ. გამსახურდია დაბეჯითებით ამბობს: ვინც არა სცოდა, არა ცხონდა. ოღონდაც განწმენდის ძალისხმევით, იესოში გაძლიერდეთ. ეჰ. უმბოლდტი სინანულით აღნიშნავს, რომ "უმთავრესია, თუ როგორ მიიღებს ადამიანი თავის ბედს, ვიდრე ის, თუ როგორია ეს ბედი სინამდვილეში. არავითარი უბედურება იმაზე მეტი არაა, ვიდრე შიში მის წინაშე". დიახ, უდიდესი აზრები მხოლოდ გულიდან გამოდიან. რა დიდი ძალაა ადამიანში, რომელიც ყოველთვის ღვთის ნებით მოქმედებს და ყველაფერში მას ემორჩილება! ყველაფერი ჭეშმარიტად დიდი ხორციელდება ნელ-ნელა, თანდათანობით, შეუმჩნევლად.

რ. სტრაუსი _ "ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი იმისა, რომ ღმერთმა მამაკაცი და ქალი ასეთი განსხვავებული შექმნა, ისაა, რომ კაცი განასახიერებს ქრისტეს, ხოლო ქალი _ ეკლესიას".

თ. დოსტოევსკი _ ტანჯვაა ის, რასაც ცხოვრება ჰქვია, უტანჯველად, საერთოდ არ იქმნებოდა მასში სიამოვნება".

ბ. პასკალი _ "არა მარტო თავად ჭეშმარიტება გვაძლევს რწმენას, არამედ მისი ძიებაც კი გვამშვიდებს".

თალმუდი _ "ილაპარაკე ის, რაც შენთვის დღესავით ნათელია, თუ არა, დადუმდი. ყველაზე ბრძენი მასწავლებელი ისინია, ვინც ყველაზე ცოტას კამათობენ".

ყველაზე ღრმა და საკაცობრიო აზრები ქრისტესმიერია, ბუდა, კრიშნა, ისლამი, უახლოვდებიან და მიემსგავსებიან ქრისტესმიერ სიყვარულს. დღეს მსოფლიოში 558 მლნ ქრისტიანია, მათ შორის რომაელი კათოლიკეები 272 მლნ მართლმადიდებლები 153 მლნ. ათეისტები 1,334 მლნ. დანარჩენი კი სხვა რელიგიის წარმომადგენლები.

ქრისტეს ეკლესია იმთავითვე დაიყო ტერიტორიის მიხედვით ხუთ გაერთიანებად. ესენია: რომის ეკლესია წმ. პეტრემ დააარსა, ალექსანდრიის _ მარკოზ მახარებელმა, კონსტანტინეპოლის _ იოანე ღვთისმეტყველმა, იერუსალიმის _ წმ. იაკობმა, უფლის ძმამ. "პენტარქია", ანუ ხუთმთავრობა, რომლის ძალითაც "ბარბაროსი" ერები, თუკი ეზიარებიან ქრისტეს მცნებას, უნდა დარჩენილიყვნენ იმ საპატრიარქო ხელმწიფების ქვეშ, ვისგანაც რჯული ებოძათ ბიზანტიაში "პენტარქიას" ადარებენ მტევნის ხუთ თითს, ანდა ადამიანის ხუთ გრძნობით ორგანოს და ასე მსჯელობდნენ. (იხ. კ. კეკელიძეს, ეტიუდებში).

"ქრისტემ თავის სხეულში, ესე იგი, ეკლესიაში, დააწესა იმდენი საპატრიარქო კათედრა, რამდენიც გრძნობაა მოკვდავი ადამიანის სხეულში, თუკი ეს კათედრები შეკავშირებულნი არიან ერთი ნებისყოფით, მაშინ მთელი ეკლესია ჯანსაღია, ისე, როგორც ადამიანის სხეული მთელია, როდესაც ხუთივე გრძნობა მრთელი და უზადოა".

გ. ტაბიძე _ "შენთვის გაეკრა ჯვარზე იესო, სულო ჭაობზე უნოტიესო", იაკობ გოგებაშვილმა ქრისტეანობას ჩვენი გადამრჩენელი სარწმუნოება უწოდა, რუსთველმა "რომელმა შეჰქმნა სამყარო ძალითა მის მიერითა", წმიდა ილია მართალმა ქრისტეს ღმერთი ჩვენთვის ეცვა ჯვარს, საქართველო კი ქრისტე ღმერთისთვის", მაგრამ ჩვენ გადავრჩით და გადავრჩით როგორც ერი _ დაასკვნის დიდი გალაკტიონი, და ჩვენ საქართველო ანუ გეორგია გვქვია, ვუღოცავ ყველა ქართველს შინ თუ გარეთ ამ უდიდესი ქრისტიანულ დღესასწაულს!

ქრისტე აღდგა, ჭეშმარიტად აღდგა!

ძუამზალა ძერაბ ჩაჩავა

ქართული საისტორიო აგიოგრაფია XII საუკუნის წინ

"ისტორია სწურთნის ერს"

ი. ჭავჭავაძე

ქართველმა ხალხმა მეზობელ ქრისტიან ერებთან მჭიდრო კულტურულ კავშირ-ურთიერთობაში ფრიად მდიდარი საეკლესიო-საისტორიო მწერლობა შექმნა.

აღნიშნული პერიოდის საქართველოს ისტორიის შესწავლა, ბუნებრივია, სხვადასხვა სახის საისტორიო წყაროებს ემყარება, მაგრამ მათ შორის ძირითადს მაინც ქართული წერილობითი წყარო შეადგენს. როგორც ცნობილია, ეს მასალები ორგვარია: ა) წმინდა საისტორიო მნიშვნელობის თხზულებანი და ბ) ქართული მწერლობის სხვადასხვა ხასიათის ძეგლები _ უმთავრესად ქრისტიანული სარწმუნოების გამვრცელებელთა და მისთვის თავდადებულ პირთა ცხოვრებისა და წამების აღწერა.

ქართული სამოქალაქო საისტორიო აზროვნება ქრისტიანულ საეკლესიო მწერლობაზე უფრო ძველია და ქრისტიანული ხანის საისტორიო მწერლობის საფუძველები წინაქრისტიანული ხანის საისტორიო აზროვნებაშია საძიებელი. ეს გარემოება სრულიადაც არ ეწინააღმდეგება თავის დროზე ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმულ დებულებას ქრისტიანული სასულიერო მწერლობის დიდი გავლენის შესახებ ფეოდალური ხანის საისტორიო მწერლობის განვითარებაზე. კამათს არ იწვევს ის გარემოება, რომ ქართულმა საისტორიო აზროვნებამ, რომელსაც თავისი განვითარების გზა და საკუთარი ტრადიციები ჰქონდა, ქრისტიანობის ხანაში მართლაც განიცადა სასულიერო მწერლობის დიდი გავლენა.

XI-XII საუკუნეთა მიჯნამდელი საქართველოს ისტორიის საფუძვლიანად შესწავლისათვის, მკვლევართა ერთობლივი მოტივირებით, საკმარისი ვერ იქნება მარტო "ქართლის ცხოვრების" კრებულში შესული საისტორიო ცნობები, რადგან ამ მასალებს როგორც ზემოთ აღინიშნა, მნიშვნელოვნად ავსებენ ჩვენი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძვირადღირებული ძეგლები. საყოველთაოდ მიღებული აზრია, რომ მხატვრული ლიტერატურა თავისი მრავალფეროვნებით "არ არის სინამდვილის მხოლოდ ასახვა, არამედ სამყაროს გახსნაა, ახლის აღმოჩენა და გაცნობიერებაა მხატვრულ ფორმებში". ეს აღმოჩენა და გაცნობიერება კი არ მიმდინარეობს საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიულ პროცესებზე გვერდის ავლით, მის გარეთ და მისგან დამოუკიდებლად, არამედ მხატვრული ლიტერატურა სინამდვილის ობიექტური ასახვაა. სხვანაირად თუ ვიტყვით, იგი მართალი მართალია, რაც ცხოვრებაში ხდება, იმისი ჩვენებაა, სარკეა. სწორედ ამის გამო მიიჩნევენ მხატვრულ ლიტერატურას საისტორიო მწერლობის შემავსებელ წყაროს და, უპირველესად, აგიოგრაფიულ ძეგლებს.

ჩვენს საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ აგიოგრაფიული ლიტერატურა სასულიერო მწერლობის ყველაზე პოპულარულ დარგს წარმოადგენს. ამ ჟანრის ნაწარმოებებს პოპულარობას ის გარემობა ანიჭებს, რომ ეს ძეგლები, უმეტესწილად, იწერებოდა "მოწამის" და მოღვაწის ("ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი") თანამედროვეთაგან, ანუ "ვინც არ იყო უმეცარ ცხოვრებასა განთქმულისა", ანდა მისი უახლესი ხანის ძმობის წევრთაგან. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ისინი ძალზე ხშირად მოთხრობილი ამბების არა თუ თანამედროვენი, არამედ მონაწილენიც იყვნენ. ამასთან ეს სიტყვის ოსტატები არ იფარგლებოდნენ მარტოოდენ "წმინდანის" ცხოვრების აღწერით. ისინი თავიანთ შრომებში მეტად მდიდარ და საინტერესო ცნობებს იძლევიან ქვეყნის იმდროინდელი კულტურული, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ, რაზეც ოფიციალური ისტორიკოსები ან საერთოდ დუმან და არაფერს წერენ, ანდა ძალიან მწირ ცნობებს იძლევიან. ეს ასე სუფევდა სხვა ხალხთა აგიოგრაფიულ მწერლობაშიც. ამიტომ წმინდანთა ცხოვრების ლიტერატურა ყველა ერის ისტორიაში საპატიო ადგილს იკავებს.

***

ქართული საისტორიო მწერლობის შედევრია გიორგი მერჩულეს "შრომაი და მოღუაწეაი ღირსად _ ცხოვრებისაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი", ანუ როგორც შემოკლებით ამბობენ "გრიგოლ ხანთელის ცხოვრება". "ცხოვრების" დასაწყისშივე ავტორი ერთგვარ კაფნიერებად თვლის თავის გადაწყვეტილებას, რომ ხელს ჰკიდებს გრიგოლ ხანთელისა და მის მოვაასთა და მოწაფეთა ცხოვრების აღწერას, რომლისთვისაც მას გამოუყენებია, ჭეშმარიტად თხრობილი მოწაფეთაგან და მოწაფის მოწაფეთაგან მის წმიდისათა". ძეგლი მნიშვნელოვანი და საინტერესო როგორც საისტორიო ნაწარმოები, რომ აქ ჩვენ, როგორც დიდ ტილოზე, ვეცნობით "ახლად შენების" ყველაზეს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პირველ ხანაში (X საუკუნის დასასრული, XI საუკუნის დასაწყისი). მის ზღვა მასალაში ვეცნობით ისტორიულ-კონკრეტულ ვითარებას, ვეცნობით მთელ რიგ ახალ ფაქტებს საქართველოს ისტორიიდან, ვეცნობით კონკრეტულ-ისტორიულ გარემოში ქართველ მოღვაწეებს, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპარეზზე ეწევიან "ახლად შენების" საქმეს, საფუძველს უყრიან ახალ საქართველოს.

ისტორიისათვის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრების მშენებლობა, რომელიც გრიგოლ ხანთელის მეთაურობით ერის შინაგანი სწრაფვის სრულ გამოხატულებად იქცა. მართლაც ერის დაუოკებელმა სწრაფვამ თავისი მდიდარი სულიერი სამყარო გააცხადა ხუროთმოძღვრებაში და დაამკვიდრა ისინი, როგორც საქართველოს მიწაზე, ასევე მის საზღვრებს გარეთაც შემოქმედებით კერებად. ამ მშენებლობებმა "საქვეყნოდ გათქვეს ქართველი კაცის გონი, მთლიანად გამოიტანეს ხალხის ნააზრევი სამზეოზე".

მკვლევართა საერთო აზრით, საქართველოს ისტორიის მრავალი საცილობელი საკითხის გადასაჭრელად გიორგი მერჩულის ცნობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. არსებითად მასზე დაყრდნობით ახლებურადაა გადაწყვეტილი საქართველოს სამხრეთ მხარეთა ისტორიის საკითხები. კერძოდ, დადგენილია ის ისტორიული ჭეშმარიტება, რომ წარსულში საქართველოს ნაწილს ეთნოგრაფიულად წარმოადგენდა მცხეთის ქვეყანა მთელის მოცულობით, მხარეებით (სამცხე, ჯავახეთი, არტაან-კოლა, აჭარა, შავეთი, კლარჯეთი, ნიგალი, სპერი, ტაონი); ასევე ქვემო ქართლის მხარეები (თრიალეთი, ტაშირის პროვინციები, გარდაბანი); გარდამავალი სანაპირო ზონა საქართველოს სამხრეთ სანაპიროზე _ ბასიანი, კარის მხარე... რომ ეს უკანასკნელნი პოლიტიკურად და ეთნოგრაფიულადაც საქართველოსთან იყვნენ დაკავშირებული მთელი ისტორიული პერიოდების მანძილზე.

გ. მერჩულეს შრომა ამაგრებს, საძირკველს უდებს იმ აზრსა და მტკიცებულებებს, რომ ეს ტერიტორია (ბასიანი, კარი) უძველესი დროიდან ქართველური ტომებით _ ლაზებით იყო დასახლებული და კოლხეთის სამეფოში შედიოდა, მაშასადამე, საქართველოს წარმოადგენდა.

თხზულებაში უხვი და მრავალმხრივ საინტერესო ცნობებია დაცული VIII-IX საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარების შესახებ.

შევეხებით რამდენიმეს.

ნაწარმოებით ვეცნობით, რომ IX საუკუნის საქართველოში წინააღმდეგობა მწარმოებლებსა (მეპატრონე ფეოდალი) და ეკლესიის შორის იმდენად გამწვავებულია, რომ "ანჩის ერი, ანჩის ეკლესიის გარშემო მდებარე სოფლის მოსახლეობა", ხანძთის მონასტრის დასანგრევადაც კი აღსდგა. მერჩულე მოგვითხრობს, რომ თბილისის ამირა საჰაკის აღზრდილმა ვინმე ცქირმა საჰაკის მხარდაჭერითა და შუამდგომლობით აშოტ კურაპალატს მოსთხოვა ანჩის საყდრის ეპისკოპოსობა და, როცა თანხმობა ვერ მიიღო, ამირასაგან წაქეზებულმა მაშინ "მძლავრებით დაიპყრა ანჩი", ცქირის თავხედურ საქციელს წინ აღუდგნენ გრიგოლი და ტაო-კლარჯეთის ბერ-მონაზვნები, რომელთა ინიციატივით, აშოტ კურაპალატისა და ქართლის კათალიკოსის ნებით ანჩს მოწვეული იქნა დიდი საეკლესიო კრება და ცქირი მოკვეთეს ეკლესიისაგან. მაგრამ უკეთური ცქირი არ დაცხრა, ვითარება ამირა საჰაკს მოახსენა. ამჯერად აშოტი მოერიდა ამირას წყენინებას და ცქირი კვლავ დაეპატრონა ანჩის ტახტს. გათამამებული ცქირი იქამდე გაკადნიერდა, რომ ახლა ხანძთის მონასტრის დასანგრევად ხალხიც კი გაგზავნა: "შეკრიბა ერი ანჩისაი და წარავლინა დარღუევად ხანძთისა". ნაწარმოებით ნათლად ჩანს, რომ ცქირმა ბრბო ადვილად აიყოლია, ადამიანები გაუცნობიერებლად მოქმედებდნენ. აქეთკენ ურთიერთჩათრევის ფსიქოლოგია წარმართვდაო. მართალია, ეს განზრახვა არ შესრულებულა ცქირის სიკვდილის გამო, მას სასწაული ჰკლავს, მაგრამ ფაქტი რჩება ფაქტად და ის საყურადღებოა მრავალმხრივ. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით ეჭვს გარეშეა, რომ ცქირი მარტო არ მოქმედებდა, მას ამირა საჰაკის გარდა, უნდა ვირწმუნოთ, ზურგს სხვებიც უმაგრებდნენ და ანჩის საეპისკოპოსო ტახტისათვის ბრძოლას უფრო სოციალურ-პოლიტიკური მოტივი ედო საფუძვლად, ვინემ საეკლესიო-სარწმუნოებრივი. უეჭველია, ხალხი, რომელიც ცქირმა ხანძთის ეკლესიის დარღვევაზე აიყოლია, უკმაყოფილო უნდა ყოფილიყო თავისი სოციალური მდგომარეობით, კერძოდ, ეკლესიების მიერ მამულების მითვისებით, რომ ანჩელთა მტრობა, უთუოდ, აგრარულ ნიადაგზე იყო აღმოცენებული.

ერთიც: ცქირის სიკვდილის ეპიზოდში ჩვენთვის საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ უკეთურის სიკვდილი იყო არა მხოლოდ უღირსი პიროვნებისადმი ანგარიშსწორება, არამედ მნიშვნელოვანი პოლიტიკური სვლა, რომელიც სრულიად არაორაზროვნად მიუთითებდა იმაზე, რომ ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფო ვეღარ მოითმენდა არაბთაგან ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევას. ეს ის დროა, როცა ყვავილობას იწყებდა საქართველოს გაერთიანების გლობალური იდეა.

გ. მერჩულეს ცნობით, VIII საუკუნის მეორე ნახევრის ტაო-კლარჯეთი დაუსახლებელი ყოფილა: "მას ჟამსა სხუაი მონასტერი არა შენ იყო მათ ქუეყანათა თვინიერ აპიზისა და არცა მსოფლიონი ერისკაცნი ახლვიდს ახლად შენებისათვის მათ ქუეყანათაისა, რამეთუ კლარჯეთს და ტაოთა შინა და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირედი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა შინა ადგილ-ადგილ". ამ ცნობის სისწორეს ადასტურებს ბაგრატიონთა გვარის მემატიანე სუმბატ დავითის ძის საისტორიო თხზულება "ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა", სადაც ვკითხულობთ: "ზევი შავშეთისაი უშენებელი იყო მაშინ, გარეშე მცირედთა სოფელთასა". ყოველივე ეს მიუთითებს იმ ისტორიულ სინამდვილეზე, რომ ჯერ სპარსელებს, ხოლო შემდეგ ბაღდადელ მურვან ყრუს საშინლად აუოხრებიათ ეს მხარე. ამას დაჰრთვია სატელობის (ხოლერა-ტიფის) ეპიდემია, რის გამოც, სუმბატის სიტყვებით რომ ვთქვათ: "კუალად შემდგომად მისსა სრვა მან სატელობისამან მოაოხრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედიღა დაჰშთეს კაცნი ადგილ-ადგილ". ამ ცნობათა შუქზე იოლი წარმოსადგენია.

რა რთულ, მეტისმეტად მძიმე ეკონომიკურ და თითქმის გამქრალ დემოგრაფიულ ვითარებაში უნდა წარმართულიყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადრეფეოდალური პოლიტიკური ერთეულის ტაო-კლარჯეთის სამთავროს ("ქართველთა სამეფო") ჩამოყალიბება და ამავე ტერიტორიაზე გაშლილი სამონასტრო კოლონიზაცია.

ხანძთელის თხზულება დიდი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლია კიდევ იმ მხრივ, რომ მასში მკვეთრ გამოხატულებას პოულობს საქართველოს ეროვნული მთლიანობის იდეა. ეს არის ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ის მომენტი, როცა ტაო-კლარჯეთი კუროპალატების თაოსნობით, მათი გაცხოველებული ინიციატივით საქართველოში უკვე ფეხი მოუდგამს კულტურულ-ეროვნული ერთობის იდეას, უმთავრესად ეროვნული ეკლესიის წიაღში, რაც გამოხატულია შემდე-

ერთი ოცნების ცყუვისცალი

(ტიციან ტაბიძე)

მეცნიერთა დაკვირვებით, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, გარემო, კლიმატი... გარკვეულწილად განაპირობებს დიდი ადამიანების, გენიოსების დაბადებას. სრულიად ვიზიარებ სწავლულთა მოსაზრებას, რომ მშობლიური მიწის ატომებისაგან შედგება ადამიანის ორგანიზმი, რომ მშობლიურ გარემოსა და პიროვნებას შორის ქიმიურ ელემენტთა პერმანენტული ცვლაა, რაც ინდივიდის თვითმყოფადობის, მეობის, მისი პატრიოტული სულისკვეთების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია.

კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო _ როგორც გალაკტიონი, ასევე ტიციანი, ღრამდ არიან გაჯერებულნი ჭყვიშის ატომებით, ფერებით, სევდითა და იდუმალი ხმებით.

"ულამაზესი, ედემის დარი... სხვა საქართველო მაინც სად არი, რომელი კუთხე, რომელ ქვეყნისა?" (ტ. ტაბიძე). "ალბათ საქართველო ედემად გამოჰყვეს, მასზე თუ გალობენ მგოსნები" (ვ. მაიაკოვსკი). სამშობლო თითოეული ჩვენგანის სუნთქვა, გულის ფეთქვა და გულის ფანცქალია. ყრმობიდან შევისისხლხორცეთ რაფთელ ერისთავის ეს გულისგულამდე ჩამწვდომი ღვთაებრივი სტრიქონები:

"სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ
და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, ჩემი სამშობლოც ის არი".

სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით გვმსჭვალავს დუტუ მეგრელის ციური ზეშთაგონებით გადმოცემული უკეთილშობილესი გრძნობა, გრძნობა სასოებისა და მამულის ერთგულებისა:

"მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი
და განცხრომით სხვაგან ყოფნას მირჩევნია აქ სიკვდილი".

არის თქმულება, გადმოცემა _ ქვეყნად რამდენი ადამიანიც იბადება, ცაზე იმდენი ახალი ვარსკვლავი გამოჩნდებაო. გადმოცემის სისწორის რა მოგახსენოთ, მაგრამ XX საუკუნის ქართული პოეზიის ცაზე გალაკტიონისა და ტიციანის ორი კაშკაშა ვარსკვლავი რომ ამობრწყინდა _ ამაში დღეს ეჭვი არავის ეპარება. ტიციან ტაბიძეს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია ჩვენს მწერლობაში.

"საქართველოთი გახარებული, საქართველოთი გამწარებული, საქართველოთი გულანთებული, საქართველოთი გულდათუთქული, ერთი სიტყვით, საქართველოთი დაავადებული კაცია იგი. ყოველი მისი საუკეთესო ლექსის სტრიქონი გაჟღენთილია სამშობლოთი" (მ. მაჭავარიანი).

"დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა
და საქართველოს მედგას უღელი!"
_

დღესაც ლოცვასავით გაისმის პოეტის ეს უგულწრფელესი, პატრიოტული აღსარება, "ქონდრის კაცსაც რომ დევად აგანთებს" და ძვალ-რბილში სიხარულის ჟრუანტელად დაგივლის.

ჭყვიშის, ორპირის არაჩვეულებრივმა პეიზაჟმა, "მეფის ჭალის" სანახებმა, კავკასიონის მთების უსპეტაკესმა მწვერვალებმა აწოვეს "ღალიან-ბარაქიანი" ძუძუ ტიციან ტაბიძის პოეტურ შთაგონებას და ასე იზრდებოდა ყოველდღიურად მის არსებაში, "გულში სიმღერის გამბედაობა", მას მართლაც ედგა მხრეებზე საქართველოს უღელი, "თბილისის აგონიით მკვდარი პოეტის "გულის მონაწურია" ეს უბრწყინვალესი ლექსი:

"მივალ მივდივარ და მივიმღერი,
თან საქართველოს მიმაქვს ოცნება,
ვარ გაუთლელი ლერწამის ღერი,
ტუჩმიუდებლად რომ იოცნება.
ათასი გული ერთად რომ მქონდეს,
ათას გულს ერთად ამოვიჭრიდი,
ოღონდ, ლამაზო, არ დამიღონდე,
მახსენე კაცად, როცა დაგჭირდე.
ათას სალამურს გააქვს გუგუნი,
ერთად ამღერდნენ გურიის მთები.
თუ ამ სიმღერით სიკვდილს მარგუნებ,
არც სიკვდილისთვის დაგემდურები.
ერთ საწყალ პოეტს ამაზე მეტი
სინდისით აღარ მოეთხოვება,
დამადეთ გულზე ტყვია ცამეტი,
მაგ თქვენი მამის სულის ცხონებას".

ასე უშუალოდ, უსათუთესი გრძნობით ბარეორს არ უმღერია თავისი სამშობლოსთვის.

ერთ "საწყალ პოეტს" იმაზე მეტი, რაც ტიციანის კალამმა დაგვიტოვა, ნამდვილად არ მოეთხოვება. ის, ხომ სრულიად ახალგაზრდა (44 წლის) შეიწირა ავადმოსაგონარმა 1937 წელმა.

1895 წლის 2 აპრილი, წლების მანძილზე, არამართებულად იყო მიჩნეული ტიციან ტაბიძის დაბადების თარიღად. თუმცა, ავტობიოგრაფიაში პოეტი სწერდა: "დავიბადე 1895 წლის 2 აპრილს... დასავლეთ საქართველოში, სოფელ შუამთაში, ორპირის მახლობლად"... დოკუმენტური მასალების შესწავლით დადგინდა, რომ ტიციან ტაბიძე დაბადებულია 1893 წლის 2 ივლისს და 14 ივლისს მონათლული. ამაზე მეტყველებს საეკლესიო წიგნის ჩანაწერი, რომელიც მისი ბაბუის _ სტეფანე ტაბიძის მიერაა შესრულებული. თუმცა რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომელ წელს, თვესა და რიცხვში დაიბადა ადამიანი, რომელმაც ერს, კაცობრიობას ფასდაუდებელი სულიერი საგანძური დაუტოვა.

ის, როგორც პოეტი, შემოქმედი ნამდვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ვაშლების გაშლილ ყვავილებიდან დაიბადა აპრილის თვეში, როცა ზეცას თითქოს ზეთი მოსტირის, სულიც აფეთქებული ატმის ტოტივით ყვავილობს და ნედლი ფიქრის სუნთქვა უკვდავი ხეებს გამოაქვთ მწვანე კვირტებად...

ყრმა ტიციანი შესაშურ ოჯახურ ატმოსფეროში იზრდებოდა. მამა _ იუსტინე ტაბიძე, საკმაოდ განათლებული კაცი იყო. მოწაფეთა არეულობაში მონაწილეობისათვის, რევოლუციური განწყობილებებისათვის თბილისის სასულიერო სემინარიის მე-6 კლასიდან გამორიცხეს. სიცოცხლის ბოლომდე ეთაყვანებოდა რუს სამოციანელებს: ნ. დობროლიუბოვს, ნ. ჩერნიშევსკის, დ. პისარევს, თითქმის ზეპირად იცოდა ნეკრასოვის მთელი შემოქმედება. ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა, მაგრამ ამ ცდებიდან არაფერი გამოვიდაო _ წერს ტიციანი.

პოეტის დედა ელისაბედ ოქროპირის ასული ფხაკაძე, წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანებიდან იყო. საოცრად გამჭრიახი, სათნო, ღვთისნიერი და შრომისმოყვარე ადამიანი. თავისი მტკიცე ხასიათის გამო ტიციანი მას "ოთარაანთ ქვრივსაც" ეძახდა. ფასდაუდებელია მისი ამაგი მეოცნებე ბავშვის სწავლა-აღზრდის საქმეში.

"მე არ მახსოვს როგორ ვისწავლე წერა-კითხვა. ოთხი წლისა ვიყავი, როცა ჩვენსავე შენობაში მოწყობილ სკოლაში დავდიოდი და ადვილად ვერკვეოდი ანბანში, ეს ძალიან ახარებდა დედაჩემს...

1905 წელს მამამ კლასიკური გიმნაზიის პირველი კლასისათვის მოსამზადებლად ქუთაისში წამიყვანა... რევოლუციურად განწყობილი ხალხით სავსე მატარებელში მოვხვდით, ოდესიდან შავრაზმელების მიერ მოკლულ პროფესორ საბა კლდიაშვილს მოასვენებდნენ. ქუთაისის სადგურში მატარებელს დროშებითა და მარსელიოზას სიმღერით შეხვდნენ. საბა კლდიაშვილის დაკრძალვა მრავალათასიან დემონსტრაციად იქცა. ჩვენმა გიმნაზიამ რევოლუციას და უახლეს მემარცხენე პოეზიას თავისი ხარკი გადაუხადა...

ლექსების წერა ძალიან ადრე დავიწყე, ბეჭდვა კი, მე-6 კლასიდან. თავდაპირველად ქუთაისის გაზეთებში ვბეჭდავდი, შემდეგ თბილისშიც. ორიგინალური ლექსების გარდა მაშინ მთელი რიგი თარგმანებიც დავბეჭდე" (ტ. ტაბიძე, ტ. I, თბ. 2012 წელი. გვ 4-5).

ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის ჟამს ეცნობა ტიციანი იმ მეკობრეებს, რომლებიც შემდგომში "ცისფერყანწელთა" ორდენის წევრები გახდნენ. "ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის" ჟურნალ "მატიანეს" მე-7 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში საკმაოდ ვრცლად ვისაუბრე 1915 წელს, "ცისფერყანწელთა" გაერთიანების შექმნაზე, მათ როლსა და ღვაწლზე ქართული ტროპული აზროვნების, ახალი სივრცეების დაუფლებისა და ქართული ლექსის კულტურის ამაღლების საქმეში, მათ ნოვატორობასა და ვერსიფიკაციულ მრავალმხრივობაზე.

ტიციანი უაღრესად განათლებული პიროვნება იყო. შესანიშნავად იცნობდა რუსულ, ევროპულ, მსოფლიო ლიტერატურას. ის იყო "ცისფერყანწელთა" დაუცხრომელი იდეოლოგი და თეორეტიკოსი, მიუხედავად მთელი რიგი შეცდომებისა, სწორუპოვარ გალაკტიონთან ერთად ერთ-ერთი ფუძემდებელია ქართული საბჭოთა პოეზიისა.

კარგად ცნობილია, რომ "ცისფერყანწელთა" ჯგუფიდან მრავალს განათლება რუსეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ჰქონდათ მიღებული. ქართული პოეტური კულტურის განახლებისთვის ბრძოლაში მყარად ეყრდნობოდნენ თანამედროვე მსოფლიო კულტურის მიღწევებს. ისინი დაუცხრომლად ილტვოდნენ, რათა მოეხდინათ რუსულ-ევროპულ აღმოსავლურ კულტურათა სინთეზი ქართულთან. ამაზე აშკარად მეტყველებს ტიციანის თითქმის საპროგრამო ლექსი "ქალდეას ქალაქები" (1916 წ.).

"გაფიზის ვარდი მე პრუდომის ჩავდე ვაზაში,
ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს
და რაც შემხვდება, შემაჩერებს შორეულ გზაში,
ჩემს ღვრია ლექსში დაისვენებს და დაიჩრდილებს".

მცირე განმარტებანი: "გაფიზი" იგივე ჰაფეზი შირაზელი დაიბადა დაახლოებით 1310-1320 წლებში, გარდაიცვალა 1389 წელს. ჰაფეზის ყაზალები მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ყაზალი არაბულ-სპარსულ პოეზიაში _ ორტაეპიანი სტროფია, იყენებდნენ ევროპულ პოეზიაშიც. ჰაფეზი არაბულად ყურანის ზეპირად მცოდნეს ნიშნავს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ პოეტი განათლებული და მორწმუნე პიროვნება იყო. პოეტის შემოქმედება XIX საუკუნის ევროპაშიც გაიცნეს. გოეთემ "დასავლეთ-აღმოსავლური დივანის" მეორე წიგნს "ჰაფეზის წიგნი" უწოდა და თავის აღმოსავლელ კოლეგას ბევრი აღფრთოვანებული სტრიქონი უძღვნა. ამან ჰაფეზის პოეზიის დიდი პოპულარობა გამოიწვია.

ტიციანის ლექსში "ქალდეას ქალაქები" ნახსენებია სიტყვა პრუდონი, პრუდონი კი არა აქ იგულისხმება ცნობილი ფრანგი პოეტი და ესეისტი სიული-პრიუდომი (1839-1907 წწ.).

სავსებით სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი სარგის ცაიშვილი: "ცისფერყანწელთა: დიდი დამსახურება ჩვენ სხვაგან უნდა დავინახოთ და არა ე. წ. ქართული სიმბოლისტური სკოლის დაარსებაში.

მოძალებულ ეპიგონობასა და პროვინციალიზმთან ბრძოლაში მათ ფართოდ გაუღეს კარი თანამედროვე მსოფლიო პოეზიის გამოცდილებას და იგი ქართული ლექსის განახლების ერთ-ერთ ფაქტორად მიიჩნიეს (გარკვეული სოციალური პირობების გამო არც დეკადენტური განწყობილებები იყო მათთვის მთლიანად უცხო), მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ მათ ეს ძიებები არ შემოუფარგლავთ რომელიმე ერთი სკოლის ფარგლებით და "პარნასელებიდან" მოკიდებული მათი დაჟინებული მზერის არეში მოექცა თითქმის ყველა იმხანად არსებული ახალი მოდერნისტული სკოლა (ს. ცაიშვილი, "წინამორბედნი და თანამედროვენი", მეცნიერება თბილისი 1986 წელი, გვ. 134).

საბედნიეროდ, უტყუარი პოეტური ალღოს წყალობით, მათ არასოდეს გაუწყვეტიათ კავშირი ქართული პოეზიის დიდ ტრადიციებთან, მშობლიურ ძირებთან. ტიციანი გაზაფხულის მდინარესავით აივსო, გაწყრა, აღიდდა და ერთბაშად მოსკდა, მოვარდა ლექსის მეწყერად. თავის გრძნობათა ნადუღში დანთქმული პოეტი, როგორც დიდი აკაკი იტყოდა, იღვრებოდა უფაქიზეს ლირიკულ განცდებად. აი, როგორ გადმოგვცემს ის ლექსის შექმნის, დაბადების ურთულეს პროცესს:

"მე ართ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს,
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
რომ გავიტანს და ცოცხლად დაგმარხავს".

"ძნელია ჩვენი დროის ლირიკოსთა შორის მეორე პოეტის დასახელება, რომელსაც თავისი ლექსი დაეტენოს ისეთი მძაფრი განცდებით, ისეთი თავდავიწყებით... ყოვლისმომცველი აღტაცებით, როგორც ეს "ლექსი მეწყერის" და "მაშ გამარჯვებას" ავტორმა შესძლო" (გურამ ასათიანი).

ტიციანს, როგორც ჭეშმარიტ პოეტს, ღრმად სწამს, რომ მისი სიკვდილის შემდეგაც გააგრძელებენ სიცოცხლეს მისი ლექსები:

"აქედან ვიცი _ მე რომ მოვკვდები,
ამ ლექსს რომ ვამბობ ესეც დარჩება,
ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება
და ეს მეყოფა გამოსარჩლებად".

წლების მანძილზე ემსახურობდი გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლმუზეუმებში, განუხრელად ვეწეოდი მათი მარად უჭკნობი პოეზიის პროპაგანდას. დღესაც სიხარულის ელდებად ედება გულს მათი ჯადოქრული სტრიქონების ცეცხლი. არ იქნება ინტერესმოკლებული, თუ მკითხველს შევახსენებ ტიციანისადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსს, რომელშიც გულწრფელად გამოვხატე მისდამი მოკრძალება. სიყვარული და უღრმესი პატივისცემა:

"თოვლივით თეთრი თეთრ ხალათში გნახე ზმანებით.
ოცნება შენი ყანჩასავით დარჩა ფშანებთან...
ვინა თქვა _ ცეცხლის ჟრუანტელი რომ ფერფლს დანებდა,
კვლავ ლაჟვარდოვან სივრცეებში მიექანები.
მუხლმოდრეკილი ლოცულობდი ძვირფას ხატებთან
და გადახსნილი გულის სისხლით წერა გენება...
ტანჯულ ქვეყანას რომ ეწეროს გადაშენება,
მაშინ რუსთველის გენიაც ვერ გაგვანათებდა.
ამოცისკარდა, ამომზევდა შენი მიზანი,
დღეს სამშობლოში ჯავარიან სიტყვას გიქებენ,
უღვთოდ ჩამქრალო გაზაფხულო _ ასე ადრიან...
მე სამუდამო ხაშმით შენი ლექსი ვიცანი,
მისი ნექტარი, საოცარი, გვიან ვიგემე
და გულიც შენზე მწუხარებას გაუფატრია!"

აკაკი თევზაძე

დასაწყისი. გაგრძელება ფურცელ ნომერში

გი სიტყვებით: "ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების". აღსანიშნავია, რომ ნაწარმოების ფურცლებიდან გაზმიანებული ეს იდეა კიდევაც დაიპყრობს მწვერვალებს და მისი გამოთქმიდან ახლო მომავალში წარმატებით გვირგვინდება. "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", სწორედ ამიტომ უაღრესად დიდი ღირებულების მქონე ისტორიული დოკუმენტია.

ნაწარმოებიდან ის ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაც მკვეთრად ჩანს, რომ ფეოდალთა გარკვეული ნაწილი, პიროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, წინააღმდეგია სამეფო ხელისუფალთა მიერ ქვეყნის გაერთიანებისა ძლიერი მმართველის ხელში. მკვლევართა საერთო აზრით, აშოტ კურაპალატის მოკვლა სწორედ სამეფო ხელისუფლების მტრებმა მოაწყვეს. ამიტომ არის, ალბათ, რომ მერჩულე მრავალი ქვეყნის დამპყრობ და ღმრთის-მსახურ აშოტის მკვლელებს ქვეყნის გამცემ იუდას ადარებს. ისინიც იუდას მსგავსად "უფლისა თვისისა მკვლელ იქმნნეს". ამასვე ადასტურებს სუმბატ დავითის ძის ცნობაც: "მოიკლა უფალი იგი მათი აშოტ ხელით ოროზმოროზის ძეთათა, წარვიდეს დოლისკანით და დევნა უყვეს მკვლელთა მათ უფლისა თვისისაითა, დაეწიენეს მათ სავანესა ჭოროხისასა, მოსრნეს იგინი ბოროტად, ვიდრემდი არა დაუშთა ერთი მათგანი".

ასე ძვირფასი საისტორიო მნიშვნელობის ცნობების შემცველია გ. მერჩულის თხზულება. ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კოლონიზაციის, იქაური ქართული სავანეების ისტორიის გასათვალისწინებლად გიორგი მერჩულის წიგნს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნაწარმოებში არეკლილი სოციალური გარემო, სახელმწიფოებრივი იდეის დამკვიდრება, ეპოქის იდეალების ასახვა.

ისტორიისათვის ღირებულია ავტორის შემდეგი ცნობაც: აშოტის უმცროსი შვილი გურამ მამფალი, რომელსაც ჯავახეთი ეჭირა, მერჩულის სიტყვებით: "გულძვირად იყო" მირეან ახნაურზე, რომელიც სამცხეს ფლობდა და თავისი ძის _ არსენის ქართლის კათალიკოსად ძალით დადგინებით საზოგადოებრივი პოზიციის განმტკიცებას ფიქრობდა.

ეს გარემოება კი მეტისმეტად აღიზიანებდა სახელოვანი მამისა და ბაგრატიონთა ტახტის მემკვიდრეს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში მას უპირველესად პოლიტიკური მოტივი ამოძრავებდა. და არა მარტო პოლიტიკური, არამედ საეკლესიო საქმეების მოგვარების სურვილიც. ცხადია, გუარამ დიდი მირეანში თავნება ფეოდალს ხედავდა. ამიტომაც დაუყოვნებლივ ბრძანა ეპისკოპოსთა და უდაბნოთა მამების შეკრება ჯავახეთს, რათა ამით შეებორკა მირეანის გაკადნიერება.

"გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" ნათლად წარმოაჩენს ქვეყნის იმდროინდელ საზოგადოების სოციალურ სურათს. ნაწარმოების მიხედვით, ფეოდალები ზოგადად "აზნაურებად" იწოდებიან, თუმცა ჩანს, რომ VIII-IX საუკუნეებში აზნაურები ერთგვაროვანი არ ყოფილან ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობით. მაგალითად, გაბრიელ დაფანჩული თხზულებაში ერთგან მოიხსენიება როგორც "აზნაური დიდებული", სხვაგან _ როგორც "გაბრიელ მთავარი", სხვაგან კიდევ _ როგორც "გაბრიელ ერისმთავარი". მაშასადამე, თავის შიგნით თვით ფეოდალური საზოგადოება ამ დროისათვის მკვეთრად დიფერენცირებული ყოფილა. ამგვარ საკითხზე ნათელ წარმოდგენას ჯერ კიდევ ი. ზუცესს "შუშანიკის წამება" იძლევა V საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის სინამდვილისათვის.

ნაწარმოების მიხედვით უუფლებო წოდების წარმომადგენელნი არიან მდაბიონი. ერთ ასეთ მდაბიოზე დაცულია შემდეგი საყურადღებო ცნობა: "მახლობლად შატბერდისა იყო ვინმე კაცი მდაბიო და ესუა მას ცოლი და ესხნეს შვილნი და აქუნდა ფრიად მონაგები". უნდა ვიფიქროთ, რომ "ფრიად მონაგების," ანუ დიდი ქონების პატრონი ეს "მდაბიო" უფრო თავისუფალი მიწისმოქმედი იქნებოდა, ვიდრე თავისუფლებადაკარგული მებეგრე ყმა გლეხი ჩანს, მდაბიოთა შორის მისი ერთი ფენა ქონებრივად დაწინაურებული და შესაძლებელიც კი გამხდარა ზოგიერთი მათგანის აღზევება საზოგადოებრივ კარიერაზე. მართლაც ნაწარმოებში მოხსენიებულ საეკლესიო მოღვაწეთა დიდი უმეტესობა მაღალ ფეოდალურ წრეს ეკუთვნოდა. მაგრამ მათ წრეში მაღალი საეკლესიო ხარისხით მდაბიონიც ჩანან, რაც ისტორიისათვის მეტად საინტერესო და საჭირო ცნობაა. მაგალითად, ანჩის ეპისკოპოსი ზაქარია ბავშობისას, "მწყემსი იყო კრავთა კლარჯეთისა ქუეყანასა შინა", რომელიც ტბის მონასტერში აღიზარდა. ხანძთის წინამძღვარი ბასილიც გრიგოლის დედის მსახური ქალის შვილი იყო. თხზულებაში ნათქვამია: გრიგოლმა "მსახური ვისმე დედაკაცსა დედისა თვისისასა ქმარი უსუა, და ბასილი, მამაი ხანძთელი, მისგან იშვა, რომლიცა ფრიადთა წელიწადთა წინამძღურობდა ხანძთას კეთილად ვიდრე სიკუდიმდე".

ეს ცნობები, როგორც უძველესი უწყებანი ქართულ ნაციონალური წყაროსი, "ბევრნაირად ინტერესს წარმოადგენს ისტორიოსისათვის".

მოკლედ, "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" რთული ქსოვილის ფასადაუდებელი ისტორიული ძეგლია ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ვითარების შესასწავლად.

ვალერიანე თევზაძე
აკადემიკოსი

სამტრედიისთვის თავდადებული ადამიანი!

გვინდა გავიხსენოთ სამტრედიისათვის თავდადებული ადამიანი, ბატონი თამაზ შალვას ძე იმედაძე, მიუხედავად იმისა, რომ სამტრედიელი არ იყო.

დაიბადა 1935 წლის 15 ივლისს ქ. ქუთაისში. ოქროს მედალზე დაამთავრა ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლა, ასევე წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტი. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ კითხულობს ლექციების კურსს ქუთაისსა და სოხუმში. 1962 წელს სამუშაოდ გადაჰყავთ ქუთაისში პარტიის ქალაქკომში მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილებაში ინსტრუქტორად. 1963-71 წლებში მუშაობდა კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1971 წელს მას აწინაურებენ და სამუშაოდ გადაჰყავთ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში სოფლის მეურნეობის განყოფილებაში ინსტრუქტორის თანამდებობაზე. 1973-1978 წლებში იყო საქართველოს კპ ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი. ასეთი იყო მისი ცხოვრების განვლილი გზა, ვიდრე სამტრედიის რაიონის თავკაცი გახდებოდა. 1978-1987 წლებში კი სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანია. ისხენებდა, სამუშაოდ რაიონში რომ უშვებდნენ, ბატონი თამაზი რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ გააფრთხილა, რომ საკმაოდ დიდ რაიონს, ქვეყნის სატრანსპორტო არტერიას, ამასთანავე მრეწველობის ცენტრს აბარებდნენ. დღევანდელი გადასახედიდან ცოტა ძნელია საბჭოურ ეპოქაში ნაღვაწი კაცის დადებითი პორტრეტის შექმნა, რადგანაც ბოლო პერიოდში მხოლოდ უარყოფით მოვლენებზე მახვილდებოდა ყურადღება, მაგრამ ფეოდალურ წესწყობილებაშიც ხომ იყვნენ გამორჩეული ადამიანები?! რატომ არის შეუძლებელი პოსტკომუნისტურ სივრცეშიც ღირსეულთა არსებობა.

ბატონ თამაზ იმედაძესთან მე წლების მანძილზე მომიწია მუშაობა. 1983 წელს ხის დამუშავებელი კომბინატიდან პარტიის რაიონულ კომიტეტში მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების ინსტრუქტორად გადმომიყვანეს. იმ პერიოდში რკინიგზის ორგანიზაციიდან გადმოიყვანეს მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილებაში ავთო ღაღანიძეც. ბატონი თამაზი ახალგაზრდა, პატიოსანი კადრების აღმომჩენი და გზის გამკვლევი იყო. მახსოვს, რამდენიმე ხნის შემდეგ, პირველმა მდივანმა მე და ავთო თავისთან გვიხმო. გამოგვკითხა, თუ რას ვსაქმიანობდით, როგორ შევეწყვეთ სამუშაოს, რა საკითხებზე უნდა გაგვემახვილებინა ყურადღება. მოგვცა სათანადო დარიგება. რაიონულ კომიტეტში მუშაობის ხუთი თვეც არ იყო გასული, რომ ბატონმა თამაზმა თავისთან კვლავ მიხმო და მითხრა, რომ არის მოსაზრება, ბიუროს წევრებთან შეთანხმებულია, რათა დაინიშნოთ პარტიის რაიკომის საერთო განყოფილების გამგედ, რომელიც აპარატის მუშაობას კოორდინირებს. ჩემთვის ეს შემოთავაზება ძალზე მოულოდნელი იყო, გაოცება ვერ დავფარე, თავი შევიკავე შეთავაზებაზე. არგუმენტად მოვიყვანე, რომ ჩემი მწირი გამოცდილებით უხერხულიც კი იქნება ისეთი ბუმბერაზი განყოფილების გამგის _ ბატონი სულიკო ნინუას გვერდით ვმდგარიყავი (ის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის კორიფე იყო). ვთხოვე მას, რომ გამეგრძელებინა ინსტრუქტორად მუშაობა, სამეურნეო საკითხებში კარგად ვერკვეოდი და მრეწველობის განყოფილებაც სამეურნეო დარგს კურირებდა. საერთო განყოფილების საქმიანობას არ ვიცნობდი.

პასუხად ბატონმა თამაზმა მითხრა, ვიცით, რომ ხის დამმუშავებელ კომბინატში ვალიკო კოპალეიშვილის სკოლა გაიარე, ამიტომაც გადმოგიყვანეთ მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილებაში (ჩემთვის ასევე მოულოდნელი იყო, ორი წლის შემდეგ მისი ინიციატივით მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგედ რომ დავინიშნე). ახლა კი საჭიროება მოითხოვს საერთო განყოფილების განახლებას, სტაჟირებას გაივლი ცენტრალურ კომიტეტში, საკითხი შეთანხმებულია, განყოფილებას, სადაც ინიშნები, უშუალოდ მე კკურირებ, შეხება გექნება საიდუმლო დოკუმენტაციასთან, რისი წვდომაც გამორჩეულთა ხვედრია, ნდობას გიცხადებთ, ვფიქრობთ, რომ გაამართლებთ. მან გადმომცა მიმართვა-დახასიათება საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში წარსადგენად. მაშინ ასეთი წესი იყო: განყოფილების გამგეები, მაღალი რანგის თანამდებობის პირები, ვიდრე თანამდებობაზე დამტკიცდებოდნენ, გასაუბრებას გადიოდნენ საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში, სადაც მე გასაუბრებაზე ჟიული შარტავასთან მოვხვდი. მინდა გასაუბრების მხოლოდ ერთი შტრიხი გამოვყო. მთელი ცხოვრების მანძილზე შეგონებასავით თან მდევდა ბატონი ჟიულის სიტყვები: სამშობლოს და მშობელ ერს ღირსეულად უნდა ემსახურო, რაც მან საქართველოს თავისი სიცოცხლით დაუმტკიცა.

ბატონი ჟიული და თამაზ იმედაძე თანამოაზრენი იყვნენ. ისინი არ შემოფარგლებოდნენ პარტიული ჩარჩოთი, ისინი მამულზე, ერზე მის მომავალზე დაფიქრებული ადამიანები გახლდნენ, დასტურიცაა მათი მოღვაწეობა.

დიდი სურვილი მქონდა, ბატონ თამაზ იმედაძეზე გახსენების წერილი დამეწერა. რამდენჯერაც მოვიფიქრე, იმდენჯერ გადავდე. ერთგვარი შიშის გრძნობა მეუფლებოდა, ვაითუ, ისე ვერ დავწერო, როგორც თამაზ იმედაძის ხსოვნას ეკადრება. მით უმეტეს, რომ ბატონ თამაზზე არაერთი მაღალი რანგის მოღვაწეს გამოუთქვამს თავისი მოსაზრება.

საოცრება არ არის, რომ ამ საკითხში კვლავ ბატონი თამაზი მშველის. გონებაში წარმოჩნდა მისი ავტორობით და ბატონი ნოდარ ჭითანავას რედაქტორობით გამოცემული წიგნი "ჩემი ხალხი და ჩემი ქვეყანა".

წიგნის სათაური მას დევიზად ჰქონდა სრულად ასახავს ბატონი თამაზის დევიზი ჰქონდა დიდი გალაკტიონის სიტყვები: "ვნების სიმძლავრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობა". ის პოლიტიკური ფიგურების, რომლებიც წლებია იძახიან, რომ ქვეყნის მართვა შეუძლიათ, სინამდვილეში უკვე ხელისუფლებაში მათ აჩვენეს, რომ პოლიტიკური ვაჭრები არიან. მათთვის უპირატესი გარიგებებია, ვიდრე ღირებულებები, პირადი გავლენები, ვიდრე ქვეყნის ინტერესები. სწორედ ამაზე საუბრობდა ბატონი ბიძინა ივანიშვილი თავის ერთ-ერთი სატელევიზიო გადაცემაში, მავანი და მავანი ვიწრო პარტიული ინტერესებიდან გამოდიან, ქვეყნის ინტერესს კი არ ითვალისწინებენო. მათ საქმის კრიტიკა უფრო შეუძლიათ, ვიდრე საქმის კეთება. ჟიული შარტავასა და თამაზ იმედაძის ცხოვრება და მოღვაწეობა ზნეობრივი გმირობის მაგალითია.

ძალზე საგულისხმოა ყოფილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ნოდარ ჭითანავას მოსაზრება, რომელიც ბატონ თამაზ იმედაძის განვლილ ცხოვრებას და მოღვაწეობას გამოხატავს:"მისი ცხოვრების განვლილი გზა სიძნელეებთან ჭიდილის, დიდი და კეთილი საქმეების უანგაროდ კეთების, აღმშენებლობის, განგებისაგან უხვად ბოძებული ნიჭისა და ენერგიის უშურველად გაცემის, კეთილშობილებისა და მიმტევებლობის შთამბეჭდავი მაგალითია. ყველა, ვინც იცნობს, დამეთანხმება, რომ მას არ შეუძლია აკეთოს რამე ჩვეულებრივად, გულგრილად. უკომპრომისო გახლავთ, პირველ ყოვლისა, საკუთარი თავისადმი, ასეთია ყველგან, საზოგადოებაშიც პოლიტიკურ მოღვაწეობასა, თუ მეგობართა ფართო წრეში. ხოლო ვინც უფრო ახლო იცნობს, დამეთანხმება, რომ მისი მოღვაწეობა ყოველთვის მომავლის სამსახური იყო. მისი ყოველდღიური საზრუნავი გახლდათ, ეკეთებინა ის, რაც ქვეყნის, ერის მომავალს სჭირდებოდა. ის სხვებზე ადრე თავისი აზროვნებით დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით ცხოვრობდა და ამასაც ქადაგებდა. ამიტომაა თავისი საქმიანობით გამორჩეული და ორიგინალური მისი კვალი. სადაც კი უმუშავია მას, ხელმძღვანელ კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე, სამინისტროს ხელმძღვანელ თანამდებობაზე, თუ მეცნიერ-ორგანიზატორად, იგი ყველგან გახლდათ კომუნიკაბელური, ჭკვიანი, უარღესად თავმდაბალი, მაგრამ ყველაფერში თავისი ხელწერის მქონე. დინჯი, მართალი საზოგადო მოღვაწე და ხელმძღვანელი. მე დღესაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს მასთან ერთად მუშაობის წლები, ის, რომ ახლოს ვიცნობ და ვემეგობრები შესანიშნავ პიროვნებას, რომელიც ყოველთვის იღვწოდა და იღვწის ედემი-საქართველოს უკეთესი მომალისათვის".

ამბობენ, მას ყველაფერში შესანიშნავ ტრადიციებზე აღზრდა დაეხმარა, თავის მშობლიურ ქალაქ ქუთაისში გატარებული სიჭაბუკის და სიყმაწვილის წლები. დიახ, მან ასახელა თავისი მშობლიური ქალაქი, მხარე, მოიპოვა საქვეყნო აღიარება, სანიმუშო მამულიშვილის, თავდადებული ერისკაცის სახელი.

აქვე მინდა მადლიერება გამოვხატო გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" გამომშვები რედაქტორის, ქალბატონ თეა ბაბუნაშვილის მიმართ, რომელმაც პირველმა ჩამოართვა ინტერვიუ ბატონ თამაზ იმედაძეს. მისთვის გაუმხელია, "მე რომ მიყვარს, ისე არ ვეყვარები სამტრედიელებსო".

უნდა ითქვას, ვინც ბატონ თამაზ იმედაძეს იცნობდა, თუნდაც ერთხელაც კი ჰქონია მასთან შეხება განმსჭვალულა, რიდით, მოკრძალებით. მასზე სამტრედიელები დღემდე პატივისცემით საუბრობენ, მის მოღვაწეობას აღიქვამენ როგორც "ოქროს ხანას". _ წერს ქალბატონი თეა ბაბუნაშვილი მის პიროვნებაზე. "მე მეყო გამბედაობა, დავრჩენილიყავი ღარიბად, რათა შესაძლებლობა მქონდა შეენარჩუნებინა ჩემი ღირსება". _ ედგარ პოს ეს გამონათქვამი თამაზ იმედაძის საყვარელი ფრაზა იყო. მის ცხოვრებას და მოღვაწეობას ზუსტად ესადაგება ქართველი მწერლის, ნოდარ დუმბაძის შეგონება: "მთელი ცხოვრება სანთელივით უნდა ენთო და იწვოდე, როცა აღარ იქნები, აქ ღირსეული სახელი უნდა დატოვო". ერთ წელზე მეტი მიილია, რაც ბატონი თამაზ იმედაძე არ არის. ჩვენს ცნობიერებაში ის იყო და დარჩა კაცი _ ადამიანი.

უნდა ითქვას ისიც, რომ ბატონი თამაზ იმედაძის უშუალო ხელმძღვანელობითა და ძალისხმევით უმოკლეს დროში დასრულდა რკინიგზის სადგურ "სამტრედია _ 2-ის" მშენებლობა, რამაც განაპირობა სამტრედიის ეკონომიკური პოტენციალის 1,5-ჯერ ზრდა. ის განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა რკინიგზელთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების მიმართ. მიიჩნევდა, რომ სამტრედიისათვის ეს დარგი იყო პრიორიტეტული.

ასევე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საკითხს. ამბობდა, რომ მასწავლებელია ქვეყნის საძირკველი, მოსწავლე კი ამ საძირკვლის ზედნაშენი. ეს გამოიხატება იმითაც, რომ დარგის კურატორთან ერთად, ქალბატონ ნათელა გელეიშვილთან ყოველი სასწავლო წლის დაწყების დროს შეხვედრას აწყობდა მოსწავლე-ახალგაზრდობასა და პედაგოგებთან. ამ შეხვედრისათვის ისინი დიდი პასუხისმგებლობით ემზადებოდნენ.

ყოველივეს სამტრედიის საზოგადოება ჯეროვნად აღიქვამდა და მათ მიმართ მადლიერებას გამოხატავდა. ვფიქრობ, ეს წერილი ამის გამოხატულებაცაა.

ბიბ ბოჭორიშვილი

ჩაშლილი ინტერვიუ

მას რედაქციაში არავინ იცნობდა, თუმცა, მისმა გარდაცვალებამ მაინც დაამწუხრა ყველა.

თვეების წინ ბატონმა გიორგი ლეჟავამ, დიდ ჯიხაიშელთა მაჟორიტარმა საკრებულოს წევრმა მითხრა: ლევან, მაისში ჩვენს თანასოფლელს, ქალბატონ **თამარ წიქვაძე-აბზიანიძეს** 100 წელი უსრულდება და თუ მივალთ და მივულოცავთ, ურიგო არ იქნებაო.

რასაკვირველია, დავთანხმდით, მაისის მოსვლას ველოდით და...

სამწუხარო ამბავი შევიტყვე ისევ გიორგი ლეჟავასაგან, ქალბატონი თამარი გარდაცვლილა...

შვილებმა, შვილიშვილებმა, შვილთაშვილებმა, ახლობლებმა, სოფელმა აღალი ცრემლით დაიტირა კეთილშობილი ქალბატონი, მოხდენილად რომ ატარებდა მხრებით საუკუნეს და ლამაზად და ღირსეულად რომ განვლო წუთისოფელი.

ნათელში იყოს!

ლევან გაბეჩავა

ხსოვნა სიცოცხლის მაგრძელებაა

რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ დროს როდი შეუძლია წაშალოს ის, რაც ასე შთამბეჭდავად დარჩენილა მეხსიერებაში. გავიხსენოთ ისინი, ვინც საქვეყნო საქმეს ერთგულად ემსახურა და წარუშლელი კვალი დატოვა. მათ არასდროს დაჰკლებიათ სიყვარული, პატივისცემა და აღიარება, მაგრამ დღეს, როდესაც ისინი ჩვენს გვერდით აღარ არიან, უფრო მკვეთრად წარმოჩნდა ის საუკეთესო თვისებები, ყოველდღიურ შრომასა და ცხოვრებაში რომ ახასიათებდათ.

მხნედ დაბიჯებდა მშობლიურ ქალაქში წარმოსადეგი, მაღალი ტანის, კეთილი, გაცისკროვნებული ღიმილით რკინიგზის ტრანსპორტს შესისხლხორცებული ადამიანი, რომლის სახელი სამუდამოდ შემორჩა რკინიგზის ისტორიას. ვინც მას იცნობდა, ან ჰქონდა მასთან რაიმე ურთიერთობა, მუდამ დაამახსოვრდება იგი, როგორც გულთბილი და კეთილის მოსურნე პიროვნება, მეგობრებისა და თანამშრომლების ერთგული და პატივისმცემელი, ჭირსა და ლხინში თანამდგომი, კაცური კაცი და სამტრედიის კოლორიტი, რომელიც მუდამ გამოირჩეოდა თავისი პეწიანობით, სიკოხტავით, თავაზიანობით, მაღალი პროფესიონალიზმითა და პრინციპულობით, ამიტომ დაჰყვებოდა მუდამ პატიოსანი და ნიჭიერი ინჟინრის, ერთგული მეგობრის და შესანიშნავი მეოჯახის სახელი და პატივისცემა, ეს გახლდათ მიხეილ კოპალეიშვილი, რომელმაც ხუთი ათეული წელი რკინიგზაში იმუშავა. იყო რკინიგზის სამტრედიის კავშირგაბმულობის დისტანციის უფროსი, ხოლო შემდგომ სიცოცხლის ბოლომდე რკინიგზის განყოფილების მთავარ ინჟინრად მოღვაწეობდა, საკუთარი თავისა და სხვებისადმი მაღალი მომთხოვნელობით გამოირჩეოდა. არც ერთი მის მიერ გაცემული დავალება რეაგირების გარეშე არ დარჩენილა. განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ახალი ტექნიკის დანერგვას. მას დიდი წვლილი მიუძღვის რკინიგზის ელექტროფიკაციაში, სამტრედია-სოხუმი-ადლერის მაგისტრალზე დისპეტჩერული ცენტრალიზაციის დანერგვაში. ომისა და მძიმე შრომის წლებში მის სასახელო საქმიანობაზე მეტყველებს საპატიო რკინიგზელისა და რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის წოდება, შრომის წითელი დროშის ორდენი და მრავალი მედალი. მუშაობაში მეტად მომთხოვნი გახლდათ, უპირველესად, მკაცრი, სამართლიანი იყო, იცოდა მშრომელი კაცის დაფასება, მის სიტყვას, დაპირებას ბეჭდის ძალა ჰქონდა.

ახლახან წავიდნენ ამ ქვეყნიდან გურამ კაჭარავა, მამუკა ჩიხლაძე, ედუარდ ჯანგველაძე, გიორგი კიკალეიშვილი, გიორგი ხაჟალია, გურამ ზამთარაძე, მათთან ერთად არ შეიძლება არ მოვიგონოთ უპრეტენზიო, მრავალი პიროვნული ღირსებით შემკული და დაფასებული რკინიგზელები ავთანდილ და ბაჩუკი ტორონჯაძეები, აკაკი წილოსანი, თამაზ გუმბერიძე, ბონდო ვაშაკიძე, ლეო გოგიშვილი, ვლადიმერ რევიშვილი, ზურაბ ტუკვაძე, მელიტონ არველაძე, ამბროსი კილასონია, ზაურ ხაჟომია, ინეზა ხომერიკი, ვახტანგ უღრელიძე, გივი თელია, ვლადიმერ ქორიძე, გივი ნოდია, თემურ და ნუგზარ ველიაშვილები, ვაჟა ბურჯანაძე, ოთარ ასათიანი, ჰამლეტ ნიოლეიშვილი, ნიოლოზ ცხვარაძე, მიხეილ ბოჭორიძე, ნიოლოზ ბლუაშვილი და მრავალი სხვა, რომელთა შრომა და ღვაწლი სამაგალითო იყო ახალგაზრდობისათვის. მართალია, დრო სწრაფად მიდის, მაგრამ მათი კეთილი შრომის ნაყოფი, ნათელი კვალი დაუვიწყარს ხდის მათ სახელებს.

რევაზ ბასანავა

საუნჯე

დაბადება

დიახ, მწერლის მეორედ დაბადება იქნება უთუოდ, თუ ამ დღეებში სამტრედიაში გავრცელებული ინფორმაცია მართალი გამოდგა და ჩვენი თანამემამულე, სამტრედიელი, კულაშელი მწერალი ქალის ეკატერინე (კატო) მიქელაძის სახელი რომელიმე ქუჩას მიენიჭება.

ძველი პერიოდიკა გადავათვალიერე სხვათაშორის და...

საინტერესო მასალაა გამოქვეყნებული სურათით 1958 წლის ჟურნალ ''საბჭოთა ქალში''. ანა ღვინიაშვილი გახლავთ წერილის ავტორი.

''ვისაც კი კატო მიქელაძე ზამთრის პერიოდში უნახავს, არასოდეს დაავიწყდება მისი გრძელი, ტყავგამოკრული ტულუპი, თბილი ქუდი, ოქროსთავიანი ჯოხი და მისი მტკიცე სიარული, არ დაავიწყდება მისი კეთილი, ჭკვიანი თვალები''. _ ვკითხულობთ წერილში.

კატო მიქელაძე 1877 წელს სოფელ კულაშში დაიბადა. მშობლები ადრე გარდაცვლია და სამეგრელოში მამიდასთან იზრდებოდა თურმე, თუმცა კულაშშიც ნათესავებთან დიდ დროს ატარებდა.

საშუალო განათლება ქუთაისში მიუღია, ერთხანს ცხინვალში უმუშავნია, იქ დაუწყია ლექსების წერა.

1903 წელს კატო უმაღლესი განათლების მისაღებად მოსკოვს გაემგზავრა, შემდეგ შვეიცარიაში, სწავლობდა ჟენევის უნივერსიტეტის სოციოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1914 წელს დაამთავრა.

მომდევნო წლებში იგი ცხოვრობდა პარიზში და იქაურ მოწინავე საზოგადოებას პატარა, თუმცა დიდი ტრადიციების მქონე ქვეყნის _ საქართველოს კულტურასა და ისტორიას აცნობდა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მწერალმა ქალმა თავისი ნიჭი და უნარი გადაიტანა ჟურნალისტიკაში, მან გაალმასებული ბრძოლა დაიწყო მათ წინააღმდეგ, ვისაც კი მხატვრულ ნაწარმოებში ქალი გამოჰყავდა მამაკაცის გასართობად და არა მეგობრად, როგორც უფლებამოსილი წევრი საზოგადოებისა.

დიახ, გასული საუკუნის დასაწყისში და კიდევ ადრე, ერთგვარ მკრეხელობად ყოფილა მიჩნეული და სენსაციად აღქმული ქალის საზოგადოებრივი აქტიურობა. ამდენად, კატო მიქელაძე ქალთა უფლებების დამცველად, უფრო სწორად უფლებებისათვის მებრძოლად გვევლინება.

უამრავი ლექსი, მოთხრობა, პუბლიცისტური წერილია გაბნეული ქართულ პრესაში კატო მიქელაძის კალამს რომ ეკუთვნის.

მისი დროის მწერლებთან შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონია კატოს. საფო მგელაძე, დომინიკა ერისთავი, დარია ახვლედიანი... ქართველი ქალი მწერლები იყვნენ ვისთანაც მას განსაკუთრებული მეგობრობა, თანამოაზრეობა აკავშირებდა.

მწერალი ქალი ჩემი ბებიის მარიამ მიქელაძე-გაბეჩავას (1914-1988 წ.წ.) მამიდა გახლდათ. როცა ჯერ კიდევ ბავშვმა ოჯახში ვეება წიგნი ვნახე წარწერით ''მაროს კატო მამიდასაგან'', შევიტყვე ამ გაუხარელი ქალის ბედი.

''ომი მძვინვარებდა, 1943 წლის იანვარში გარდაიცვალა მამიდა კატო, ძლივსღა მოვახერხეთ სამტრედიელმა და ქუთაისელმა მიქელაძეებმა თბილისში მის დასაფლავებაზე წასვლა. სამწუხაროდ, მის ცხედარს, რომელიც ვაკის სასაფლაოზეა დაკრძალული, არცთუ ბევრი ხალხი მიაცილებდა. რაც შეეხება კატოს ურთიერთობას ახლობლებთან, ნამდვილი ზეიმი იყო კულაშში მისი ყოველი ჩამოსვლა''. _იგონებდა ბებია.

''ჩემს სათუთ სხეულს დღეს მიწა ფარავს,
ისევ კუბოში ვარ ჩაკეტილი,
ვიღაცა მოდის, მიშენებს კარავს,
ალბათ იქნება ვინმე კეთილი.'' _

წერდა ერთგან კატო მიქელაძის უახლოესი მეგობარი მწერალი ქალი დარია ახვლედიანი.

საშური და კეთილი საქმე იქნება უთუოდ, თუ მართლა შესაფერის ''კარავს აუგებენ'' მწერალ კატო მიქელაძეს, მშობლიური რაიონის ერთ-ერთი ქუჩისათვის მისი სახელის მინიჭებით რომ იქნება გამოხატული.

ლევან გაბეჩავა

თარიღი

პოეტ კარლო კალაძის საიუბილეოდ

''ძვირფასო მეგობარო კარლო! მინდა გითხრა შენ, გაზაფხულის მომღერალს, რომელიც ''ღიღინით შეჰყურებ ჭაღარა სიჭაბუკეს'', ჩემთვის ხარ კეთილშობილი წარმომადგენელი ქართველ პოეტთა იმ პლეადისა, რომელიც ახალგაზრდა თაობებს სასწავლად და სამაგალითოდ დაუვიწყარ ნაწარმოებებს უტოვებ. მახარებს შენი ნიჭის გაფურჩქვნა, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას გისურვებთ''.

ნიკოლოზ ტიხონოვი

''მეგობრულ სალამს ვუთვლი სახელოვან იუბილარს, თანამედროვეობის გამოჩენილ პოეტს, საყვარელ მეგობარს. ვუსურვებ მრავალი წლის ჯანმრთელობას''.

ყაისან ყულიევი

''გილოცავთ, შესანიშნავი საქართველოს კეთილშობილ ადამიანს, ჯანმრთელობას, შემოქმედებით სიხარულს გისურვებთ''.

მიკოლა ბაჟანი

''მრავალი წლის სიცოცხლე შენ და შენს მშვენიერ პოეზიას, გულითადად გილოცავ, მეგობრულად გეხვევი''. მარად შენი

ვლადიმერ ორლოვი

ზეიმს გიხდიან სიხარულით
ოსტატს, ხელოვანს
შემოგხარიან ტკბილ მომღერალს
და სახელოვანს.
კიდევ იმღერე შენებურად,
კარლო მორჩილო,
სანამ ცოცხალ ხარ, სიბერეს
არ დაემორჩილო.

სანდრო შანშიაშვილი

აი, ასე თბილად მიულოცეს ქართველმა და უცხოელმა თანამოკალმეებმა 70 წლის იუბილე ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს, პოეტ კარლო კალაძეს 1977 წელს.

საიუბილეოა 2017 წელი, პოეტს 110 წელი უსრულდება.

სასურველი იქნება, თუ მოკრძალებულად მაინც აღინიშნება სამტრედიაში ეს თარიღი.

ლევან გაბეჩავა

ორი სონეტი ''პრეზულიდან ტკბილსახსოვარნი''

ვაჟა ნიკოლეიშვილს

პირველი მდივნის კაბინეტში შევხვდით ერთმანეთს,
ადგილს ვითხოვდი სამუშაოდ, მირჩიეს მოცდა,
შენ იქვე მდგარი, ჯერ უცნობი გამომიწვდი ხელს:
_ რედაქციაში იმუშავებ, გათავდა, მორჩა!
შენს კოლეგებში ისე იყავ გამორჩეული
ფიზიკური და სულიერი მშვენიერებით,
ვინ გაკადრებდა სიტყვა ეთქვა ხმააწეული,
ან დაემცირა თავი მისი კადნიერებით.
გულით ვხარობდი, რომ გამართლდა ის შენი ნდობა,
თუმც ხატი, რჯული, ჩვენაც ბევრი გვქონდა სადავო,
მადლობა უფალს იმისათვის, უფალს მადლობა,
რომ ჩვენს სულებშიც მეგობრებად დავრჩებით ძმაო!
ჯენტლმენი იყავ, ამაყიც და ამასთან ქველიც,
''კარგ ყმას'' ეტყოდა შენებრ ვაჟკაცს დიდი ფშაველი.

აკაკი (კაკო) ჯამბურიას!

სპეტაკი სულით, კეთილშობილი, მოკრძალებული,
სტუმრობდი ''მაცნეს'' რედაქციას ხანგამოშვებით,
ტანად კეთილაღნაგი, თვალებგაბრწყინებული,
შემკული სინდის-ნამუსით და პატიოსნებით.
გთხოვდი, გეთქვა სათქმელი, შენი მართალი გულით,
გაზეთს ნაკლი თუ ჰქონდა, რასაც ჩვენ ვერ ვამჩნევდით,
_ თქვენ არაფერი შეგეშლებათ! _ იყო პასუხი
და ვით ''უმანკო ბავშვი'' ისე გაიღიმებდით.
შენს წიგნთსაცავში ყოველი დღე მოჩანს მკითხველი,
წიგნზე მეც ბევრჯერ გაწუხებდით ბატონო კაკო,
ღიმილიც ახლდა იმ შენიშვნებს თქვენი ხელწერით:
''გიგზავნით, მაგრამ ძალიან გთხოვთ, არ დამეკარგოთ.''
წლები გარბიან, ღირებულების გადაფასებით
და დარდს ვერ ვმალავ, არსად ჩანან თქვენისთანები.

კორნელი ჩიხლაძე

ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირი იუწყება მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილის

გრიგოლ თავაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა თანაუგრძნობს ნანა გეგუჩაძეს

დედამთილის

გარდაცვალების გამო.

ამბავნარი

საქართველოში ადამიანის დატყვევება და გაყიდვა განსაკუთრებით XVI-XVIII საუკუნეებში გახშირდა.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში გურიის სანაპიროდან ოსმალეთის ბაზარზე წელიწადში 10-12 ათასი ტყვე გაჰყავდათ. ოდიშის სანაპიროდან კი _ 10-15 ათასი.

იმ ხანებში 25-40 წლის მამაკაცი თუმანი ღირდა, 13-18 წლის ქალი კი 13 მანეთი.

***

IV საუკუნეში ეგრისში, ქალაქ ფაზისში იყო უმაღლესი სამეცნიერო სახელოვნებო სკოლა _ ''მუზათა ტაძარი'', სადაც ქართველებთან ერთად ბერძნებიც სწავლობდნენ.

ამ სკოლაში მიუღიათ უმაღლესი განათლება სახელგანთქმულ ბერძენ ფილოსოფოსებს ევგენიოსსა და თემისტიოსს.

***

რუსეთში 1865 წლამდე ქუჩაში თამბაქოს მოწევა სასტიკად იყო აკრძალული და უმკაცრესად ისჯებოდა.

***

ძველი სამყაროს უმდიდრესი ადამიანი იყო ებრაელთა მეფე სოლომონ ბრძენი. მისი საარაკო განძი მაშინდელ მსოფლიოში დიდად სახელგანთქმული იყო. მან ააშენა იერუსალიმის ცნობილი ტაძარი, რომელიც ძვირფასად იყო შემკული და მიწიერი კეთილდღეობის სიმბოლოდ იქცა.

***

ვაჟა-ფშაველა ერთხანს სოფელ თონეთში მასწავლებლობდა. მალე იძულებული გახდა, ამ საქმისათვის თავი დაენებებია. შემდეგ დაიწყო მუშაობა ოთარ ამილახვარის ოჯახში. ასწავლიდა მის ვაჟს გიორგის. გიორგის შვილია საფრანგეთის ეროვნული გმირი დიმიტრი ამილახვარი, რომელსაც ჯილდო საფრანგეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა დე გოლმა თავადვე გადასცა.

***

ყველაზე დიდი მოთხოვნით მსოფლიოში აგატა კრისტის დეტექტივები სარგებლობს. მისი 78 რომანი 2 მილიარდ ეგზემპლარად 44 ენაზეა გამოცემული.

შეკრიბა ლევან გაბეჩავამ

მთელი სამტრედიისთვის მისალოცი წარმატებები გონიერი და ღონიერი ბავშვებისგან

თეა ბაბუნაშვილი

სპორტის არაერთ სახეობაში მიღწევებით განებივრებული სამტრედია აღდგომის წინა კვირაში კვლავაც სპორტულ მიღწევებზე საუბრობდა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააქტო დარბაზში ნორჩი მოჭადრაკეები და კარატისტები შეიკრიბნენ სხვადასხვა ჩემპიონატებში მოპოვებული მედლებისა და თასების გადასაცემად. გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე შალვა არზუმანიანი, თბილი სიტყვებით ულოცავდნენ წარმატებებს მუნიციპალიტეტის სპორტსკოლის აღსაზრდელებს და აღნიშნავდნენ, რომ მათი მიღწევები უპირველესად სამტრედიისთვის და საქართველოსთვის არის მნიშვნელოვანი.

შეხვედრას სპორტული სკოლის დირექტორი ივანე კილტავა უძღვებოდა. მას ერთგვარად პირობის დადება "მოუწია", რომ იმ მნიშვნელოვან მიღწევებს აქამდე რომ აქვთ, მომავალში კიდევ უფრო მეტ თასსა და მედალს შემატებენ.

ამჯერად მოჭადრაკეები და კარატისტები დაჯილდოვდნენ. კარატეს ჯგუფიდან მარიამ გოგიტაური, მურმან დერბიში, ნიკა ნიკურაძე, მანანა მუქერია, მოჭადრაკეებიდან კი ლიკა ხუჭუა, ნინო მეფარიშვილი, მარიამ ჩარგეიშვილი, ბარბარე გაგუა და ყველაზე პატარა მოჭადრაკე, 5 წლის ლუკა რუხაძე დაჯილდოვდნენ სხვადასხვა ასპარეზობებში მიღწეული წარმატებებისთვის.

"ეროვნულ ჩემპიონატზე, რომელიც თებერვალში გაიმართა, 18 წლამდე ასაკის მოასპარეზეები იმ წონით კატეგორიაში, რომელიც ჩვენ კლუბს ჰყავდა წარდგენილი, არ იყვნენ. ჩვენს სპორტსმენებს მაოზე გაცილებით უფროსებთან, 13 წლის მანანა მუქერიასა და 14 წლის მარიამ გოგიტაურს შეხვედრა 22-25 წლის სპორტსმენებთან, სპორტის ოსტატებთან მოუწიათ. სასწაული მოხდა, ჩემმა გოგონებმა, ის ოსტატები, რომლებიც გუშინ დანიაში იყვნენ საქართველოს სახელით ევროპის ჩემპიონატზე, დაამარცხეს. წარმატებები გვქონდა ერევანში სომხეთის თასზე ასპარეზობისას. მანანამ მასზე ასაკით გაცილებით დიდი სპორტსმენი, რომელიც მას ფინალში შეხვდა, ისე მოაქცია, დაჯილდოვებაზეც ვერ გამოვიდა. ის ტაქსით წაიყვანეს სახლში. 8-9 აპრილს კი, სომხეთის ქალაქ გიუმრიში ჩატარებულ საერთაშორისო ჩემპიონატზე კიოკუშინკაი კარატეში, 18 წლამდე ასაკის კარატისტთა შორის პირველი ადგილი მურმან დერბიშმა, ხოლო მეორე ნიკა ნიკურაძემ დაიკავა." _ აღნიშნა კიოკუშინკაი კარატეს მწვრთნელმა, სენსეი მიხეილ ქანთარიამ. მან უახლოეს მომავალში კავკასიის თასსა და საერთაშორისო ჩემპიონატში მონაწილეობა, გარდა ამისა, რუმინეთში მსოფლიო ჩემპიონატზე უკვე გადაწყვეტილი გამგზავრებაც დააანონსა.

მარტში ქუთაისში გამართულ საკვალიფიკაციო ტურნირზე, რომელზეც სამტრედიის საჭადრაკო სკოლის ყველა აღსაზრდელმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია, ჭადრაკის მწვრთნელმა ბესო ლეჟავამ ისაუბრა: "ჩვენ ყოველთვის ხელდამშვენებულები ვბრუნდებოდით ამგვარი ტურნირებიდან, მაგრამ ამ ტურნირმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. 7 თასით ხელდამშვენებული დავბრუნდით. აქედან ოთხი პირველი, სამი კი მეორე ადგილი ჩამოვიტანეთ. მათე შენგელია, ბარბარე გაგუა, მეორე თანრიგოსანი მოჭადრაკეები არიან, რომლებიც პირველ ადგილს დაეუფლნენ. მათემ ყველა თამაში მოიგო. პირველი ადგილი აიღო მესამეთანრიგოსანმა ლიკა ხუჭუამ. ჩვენთან ჭადრაკის შესწავლაზე იმდენად დიდი მოთხოვნილებაა, რომ მეზობელი რაიონებიდანაც ჩამოდიან ბავშვები. ჩვენმა აღსაზრდელმა, ჩოხატაურელმა საბა ბოლქვაძემ ამ ასპარეზობაში პირველი ადგილი დაიკავა. მეორე თანრიგოსანი ნინო მეფარიშვილი, მესამე თანრიგოსანი მარიამ ჩარგეიშვილი და პატარა მოჭადრაკე ლუკა რუხაძე ამ ჩემპიონატზე მეორე საპრიზო ადგილზე გამოვიდნენ." როგორც გაირკვა, მალე მოჭადრაკეებს საქართველოს პირველობა ელით ბათუმში.

აღსაზრდელებთან ერთად დაჯილდოვდნენ მათი მწვრთნელები, მიხეილ ქანთარია, ნინო ჯვარშეიშვილი და ბესო ლეჟავა.

კობა ძიძიგური ამჯერად არა მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ამპლუაშიც საუბრობდა: "ჩვენ ძალიან გონიერი და ღონიერი ბავშვები გვყავს. მათი წარმატებებისთვის მადლობა მათ, მათ მშობლებს და მწვრთნელ-მასწავლებლებს. კარგია, ამდენ თასებთან და მედლებთან ერთად ყოფნა, მით უმეტეს, როცა ისინი მცირე ნაწილია აღებული პრიზებისა. ვისურვებდი, ყოველთვის ასე ხელდამშვენებულები დაბრუნებულიყავით მშობლიურ სამტრედიაში."

"სასიხარულოა, რომ ამგვარი წარმატებებით დაბრუნდით უკან. ორმაგად სასიხარულოა, რომ ისეთი მწირი ბიუჯეტით, რაიონი რომ გახარჯავთ, ამგვარი მიღწევები გაქვთ. ამაში მშობლების დიდი წვლილია და მადლობა მათ ამისთვის." _ განაცხადა გამგებლის მოადგილემ, ლიზა კრავეიშვილმა.

"პატარა სამტრედიიდან დიდ ასპარეზზე გასულები მენახეთ!" _ ისურვა შალვა არზუმანიანმა.

სამადლობელი მშობლებისა და მწვრთნელების მისამართით, არც სპორტსკოლის დირექტორმა, ვანო კილტავამ დაიშურა. "მინდა, კიდევ და კიდევ მოიგრიბოთ გონიც და ღონიც, დიდი წარმატებების მისაღწევად!" _ ისურვა მან.

შეხვედრის ბოლოს დამსახურებული პრიზები და მედლები გადაეცათ გონიერებს და ღონიერებს.

ოლიმპიადაზე აღებული ორი თასი

ნათია ნაცვლიშვილი

1-2 აპრილს საქართველოს დედაქალაქში, ძიუდოს აკადემიის დარბაზში გაიმართა ცეკვის საერთაშორისო ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობას 12 ქვეყნის 50 შემოქმედებითი კოლექტივი ღებულობდა. იმერეთის რეგიონს ამ ოლიმპიადაზე მზოლოდ სამტრედია წარმოადგენდა. სამტრედიის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული შოუ-ბალეტი "ფანტაზია" (ქორეოგრაფები ნანა ბებია და ქრისტინე ზაქრაძე) საინტერესო პროგრამით წარსდგა ამ ოლიმპიადაზე. ჩვენი ქორეოგრაფიული ჯგუფი დედაქალაქიდან ორი თასითა და დიპლომებით ხელდამშვენებული დაბრუნდა.

გვესაუბრება ქრისტინე ზაქრაძე: " მსგავს ოლიმპიადებზე მოპოვებული წარმატებებით ნამდვილად განებივრებულნი ვართ, მაგრამ მესამე ადგილის მოპოვება ცეკვის სულ ახალ მიმართულებაში "ჩერლიდინგში", ძალიან გვახარებს. ეს სახეობა, სულ ერთი წელია, რაც საქართველოში შემოვიდა. თბილისში ამ სახეობით უკვე მრავალი სპორტული და საჯარო სკოლა არის დაინტერესებული. იმერეთიდან ჩვენ ვიყავით პირველი მერცხლები, ვინც "ჩერლიდინგის" კონკურსში მიიღო მონაწილეობა. რა თქმა უნდა, აქ არსებობს ასაკობრივი ზღვარი. ფანტაზიამ 9-11 წლიანთა შორის მესამე ადგილი აიღო, ხოლო პირველ და მეორე საპრიზო ადგილებზე უკრაინის ჯგუფები გავიდნენ, რაც ჩვენთვის ამ ეტაპზე მართლაც სოლიდური წარმატებაა. მინდა გითხრათ, იმერეთის რეგიონს დიდი პოტენციალი გააჩნია იმისა, რომ მსგავს ოლიმპიადებზე სხვა ჯგუფებიც წარმოადგინოს "ჩერლიდინგის" სახეობაში. ამასთანავე, ოლიმპიადის პირველივე დღეს ჩატარდა მსოფლიო ხალხთა ცეკვების საკონკურსო-საფესტივალო ჩვენება. სადაც "ფანტაზიამ" ბოლივუდი წარადგინა. აღნიშნულ ფესტივალ-კონკურსზე ლაურეატის წოდება მივიღეთ და კიდევ ერთი თასი მოვიპოვეთ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენმა ბავშვებმა ასეთი შედეგის მიღწევა ძალიან მცირე დროში შეძლეს, ჩვენ მეცადინეობა მხოლოდ სექტემბრიდან დავიწყეთ, მთელს ჯგუფში მხოლოდ ორი მოსწავლეა, რომელთაც მუშაობის ორწლიანი გამოცდილება აქვთ. თანადგომისა და ნდობისათვის მადლობა მინდა გადავუხადო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მთელს კოლექტივს და მოსწავლეთა მშობლებს".

საქართველოს "ჩერლიდინგის" ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის, ვალენტინა კუზმიდის სამომავლო მიზანია, იმერეთს ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი ფედერაციის პრეზიდიუმში, საამისოდ, ძირითადი ნიადაგი "ფანტაზიამ" უკვე მოამზადა. იგეგმება, მომავალ წელს ჩატარდეს შეჯიბრი იმერეთის თასის მოსაპოვებლად "ჩერლიდინგის" მიმართულებით, სადაც უამრავი სპორტსკოლა თუ საჯარო სკოლა მიიღებს მონაწილეობას. ქრისტინე ზაქრაძე ახალ თაობას ცეკვას უკვე 14 წელია ასწავლის, პირველ წლებში ის დედასთან, ქორეოგრაფ ნანა ბებიასთან ერთად მუშაობდა. მისთვის პირველი დამოუკიდებელი წარმატება 2008 წელს პროექტ "ნიჭიერში" "ფანტაზიის" ორმოცდაათ საუკეთესოს შორის მოხვედრა იყო. მას კიდევ არაერთი გამარჯვება მოჰყვა. ქრისტინე საქართველოს "ჩერლიდინგის" ეროვნული ფედერაციის იმერეთის რეგიონის პრეზიდენტობის ერთადერთ კანდიდატად განიხილება.

მის. ქ.სამტრედია,
რუსთაველის
ქუჩა № 23/2.
ტელ.: 599 43 26 34.

სამტრედიაში, ჭავჭავაძის 11-ში
გაიხსნა ტურისტული მომსახურების
სააგენტო, სადაც უცხოეთში
წამსვლელ პირებს მოემსახურებიან
სრული პაკეტით:
სასტუმროს ჯავშანი, დაზღვევა,
ავიაბილეთები.
ასევე გაუწევენ კონსულტაციას.
ტელ.: 599 74 36 08

ვულოცავთ!

თალიკო ქართველიშვილს!

ჩვენო საამაყო, პატიოსნებითა და სინდის-ნამუსით დღემდე ღირსეულად მოსულო დედა.

გილოცავთ დაბადების დღეს, მადლობა უფალს, რომ შენ დღესაც უდიდესი სითბოთი და სიყვარულით იგონებ შენს აღზრდილებს, კოლეგებსა და ნათესავებს. მიჭირს სიბერესთან შეგუება, მიუხედავად შენი უბერებელი გონებისა. კიდევ დიდხანს იცოცხლე, დედა, სიხარულიანი დღეებით და დატკბი შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილის სიყვარულით. გვიყვარხარ და გვეამაყები, ჩვენო ვალმოხდილო, წლებით დამშვენებულო დედა.

შვილები და შვილიშვილები, შვილთაშვილი
ზალიკო კვანტალიანი

რევაზ კანდელაკს!

მეორე მსოფლიო ომის აქტიურ მონაწილეს, ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს პატივისცემით ვულოცავთ 93 წლის შესრულებას. ხანგრძლივ სიცოცხლეს, ოჯახურ ბედნიერებას ვუსურვებთ.

უფალი ფარავდეს!

"სამტრედიის მაცნე"



93 წლის შესრულებას ვულოცავთ ბატონ რევაზ კანდელაკს, ხანგრძლივ სიცოცხლესა და უფლის წყალობას ვუსურვებთ. იდღეგრძელეთ!

ვეტერანთა რაიონული კავშირი

დაბადების 93-ე წლისთავს ვულოცავთ ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირის თავმჯდომარეს, ბატონ რევაზ კანდელაკს! მრავალს დაესწარით, ბატონო რევაზ! წელთა სიმრავლეს ვერაფერი დაეკლოს თქვენი ჯანმრთელობისთვის, მხნეობისთვის, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისთვის. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს. უფალი იყოს თქვენი შემწე!

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის
სოციალური სამსახური

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა